

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №231

2019 წლის 17 მაისი

ქ. თბილისი

ტექნიკური რეგლამენტის – ქობულეთის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის დამტკიცების თაობაზე

მუხლი 1

„დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-4 პუნქტისა და პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, დამტკიცდეს თანდართული ტექნიკური რეგლამენტი – ქობულეთის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმა.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი

მამუკა ბახტაძე



ტექნიკური რეგლამენტი – ქობულეთის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმა

თავი I შესავალი

მუხლი 1. მენეჯმენტის გეგმის მოქმედების არეალი

ქობულეთის დაცული ტერიტორიების – ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალისა და ქობულეთის ალკვეთილის მენეჯმენტის გეგმა მომზადდა „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებისა და „დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის სტრუქტურის, შინაარსისა და თემატური ნაწილების შემუშავების მეთოდოლოგიის მომზადების ეტაპების და პროცედურების შესახებ“ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 12 მარტის N110 ბრძანების შესაბამისად.

მუხლი 2. მენეჯმენტის გეგმის მიზანი

მენეჯმენტის გეგმის ძირითად მიზანს წარმოადგენს ქობულეთის დაცული ტერიტორიების – ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალისა და ქობულეთის ალკვეთილის გრძელვადიანი (20-25-წლიანი) მიზნების, მენეჯმენტის გეგმის ძალაში ყოფნის პერიოდში (9 წელი) განსახორციელებელი პროგრამების, მიზნების და ინდიკატორების, ქმედებების და ღონისძიებების განსაზღვრა, პირველი 3 წლის განმავლობაში განსახორციელებელი საოპერაციო კონკრეტული ქმედებების და ბიუჯეტის შედგენა.

მუხლი 3. დაცული ტერიტორიის მარეგულირებელი საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური ჩარჩო

ქობულეთის დაცული ტერიტორიების – ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალისა და ქობულეთის ალკვეთილის მენეჯმენტის გეგმას სამართლებრივ საფუძვლად დაედო: საქართველოს კანონი „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“, საქართველოს კანონი „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“, რამსარის „საერთაშორისო მნიშვნელობის, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი ტერიტორიების შესახებ“ კონვენცია (2007 წლის 30 მარტის საქართველოს პარლამენტის დადგენილება N4606-ის მიხედვით, საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების სიაში შესატანად განისაზღვრა კოლხეთის დაცული ტერიტორიების სახმელეთო საზღვრები, რომელთა მდებარეობა და ფართობი განსაზღვრულია „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონით).

მუხლი 4 დაცული ტერიტორიების შექმნის ძირითადი მიზნები

1. ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალის შექმნის მიზნებია:

- ა) რამსარის კონვენციით დაცული მიგრირებადი და წყალმცურავი ფრინველებისათვის საბინადრო გარემოს (ჰაბიტატების) დაცვა, მოვლა და შენარჩუნება;
- ბ) ბუნებრივი პროცესების უწყვეტი განვითარების უზრუნველყოფა და სფაგნუმისანი ტორფნარებისათვის დამახასიათებელი უნიკალური ჰიდროლოგიური რეჟიმის მკაცრი დაცვით საერთაშორისო ღირებულების „ისპანი 2“ ტორფნარის დაცვა და კონსერვაცია;
- გ) ჰაბიტატების, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს, განსაკუთრებით საფრთხის ქვეშ მყოფ მცენარეთა და ცხოველთა გენოფონდის დაცვა და ბიოლოგიური მრავალფეროვნების შენარჩუნება;
- დ) სამეცნიერო და ეკოსაგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა.

2. ქობულეთის ალკვეთილის შექმნის მიზნებია:

- ა) ბუნებრივი და უმნიშვნელოდ სახეცვლილი პერკოლაციური ტიპის სფაგნუმიანი ტორფნარის და რელიქტური კოლხური ტყის, ფლორისა და ფაუნის, გლობალური და საქართველოს წითელი ნუსხის სახეობების გენოფონდის დაცვა, აღდგენა და შენარჩუნება;
- ბ) მეცნიერული კვლევა-ძიებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა;
- გ) ეკოტურიზმის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების სამართლებრივი მექანიზმის ჩამოყალიბება;
- დ) ეკოსაგანმანათლებლო საქმიანობა და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება;
- ე) ქობულეთის ალკვეთილის ფარგლებში მიწის, წყლის, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს (მათ შორის, ტყეების) და სხვა ბუნებრივი რესურსების დაცვა, აღდგენა და შენარჩუნება;
- ვ) არქეოლოგიური ძეგლის „ისპანის“ დაცვა;
- ზ) ჰიდროლოგიური რეჟიმის დაცვა და მონიტორინგის განხორციელება.

მუხლი 5 . დაცული ტერიტორიის მენეჯმენტის გეგმის შემუშავების პროცესი

მენეჯმენტის გეგმის მომზადების პროცესში მონაწილეობდნენ: სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტო (შემდგომში – დაცული ტერიტორიების სააგენტო), „ქობულეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია“, (ა)აიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ა(ა)იპ – კოლხეთის დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდი, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და არასამთავრობო ორგანიზაციები. 2015 წლის ნოემბერს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა კონფერენცია ქობულეთის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის შემუშავებაზე მოწვეულ ჭარბტენიანი ტერიტორიების მკვლევარ საერთაშორისო ექსპერტებთან: ჰანს ჰიუსტენტან, ალბერტ გროტჯანსთან და მათიას კრებსისთან, რამსარის კონვენციის სამდივნოს უფროს მრჩეველთან ევროპაში – ტობიას სალათესთან. 2015 წლის 30 ნოემბერს მომზადდა მენეჯმენტის გეგმის საწყისი ანგარიში. 2016 წლის 20 იანვარს მომზადდა მენეჯმენტის გეგმის შუალედური ანგარიში. 2016 წლის იანვარს შედგა შეხვედრა ქობულეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციასთან მენეჯმენტის გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიის მომზადების ეტაპებისა და პროცედურების შესახებ. 2016 წლის თებერვალს შედგა შეხვედრა ქობულეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციასთან გასული მენეჯმენტის გეგმის შემდეგ მიღწევების, არსებული ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ. 2016 წლის 5 მაისს შედგა უცხოელი ექსპერტების ვიზიტი და შეხვედრა დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარესთან, დაცული ტერიტორიების სააგენტოს თანამშრომლებსა და ქობულეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციასთან. შეხვედრის მიზანი ქობულეთის ნაკრძალისთვის ჰიდროლოგიური ბუფერული ზონების დაარსების აუცილებლობის, საბჭოთა პერიოდში გაყვანილი ჰიდროლოგიური არხების გაუქმებისა და მელიორაციის შედეგად დარღვეული ჰაბიტატის აღდგენის განხილვა იყო. 2016 წლის 16 ივნისს შედგა გის-ის ექსპერტის შეხვედრა ქობულეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში და ქობულეთის გამგეობაში ქობულეთის დაცული ტერიტორიების საზღვრებთან დაკავშირებით. 2016 წლის 5 ივლისს შედგა ექსპერტ-სოციოლოგის შეხვედრა ქობულეთის (ბაგრატიონის ქუჩის) და დაბა ოჩხამურის მოსახლეობასთან. 2016 წლის 7 აგვისტოს გაიმართა შეხვედრა ქობულეთის გამგეობაში მენეჯმენტის გეგმასთან დაკავშირებით ადგილობრივი მუნიციპალიტეტის და სხვადასხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობით. 2016 წლის 15 აგვისტოს გაიმართა შეხვედრა ქობულეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. 2016 წლის 20 აგვისტოს მომზადდა და კოლხეთის დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდში გაიგზავნა მენეჯმენტის გეგმის პირველი სამუშაო ვერსია. 2016 წლის ოქტომბერს მომზადდა

და კოლხეთის დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდში გაიგზავნა მენეჯმენტის გეგმის მეორე სამუშაო ვერსია. 2016 წლის 19-22 სექტემბერს შედგა ვიზიტი გერმანიაში დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარის ხელმძღვანელობით. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა გერმანული გამოცდილების გაზიარება, ქობულეთის დაცული ტერიტორიების ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების და მიმდებარედ მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების კუთხით. ვიზიტის ფარგლებში განხილულ იქნა ქობულეთის დაცული ტერიტორიების მიმდებარე ტერიტორიებზე სოფლის მეურნეობის ახალი დარგების განვითარების პერსპექტივები, რომელიც ხელს შეუწყობს დაცული ტერიტორიების რესურსების დაცვასა და კონფლიქტების აღმოფხვრას ქობულეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციასა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის. ვიზიტისას ასევე შეხვედრა გაიმართა გრეიფსვალდის უნივერსიტეტში, მსოფლიო ტორფნარების სამეცნიერო ცენტრში და მიხეილ ზუკოვის ფონდში UNESCO-ს წარმომადგენლებთან. მიხეილ ზუკოვთან შეხვედრისას გადაწყდა, რომ ზუკოვის ფონდი მხარს დაუჭერდა „კოლხეთის ტორფნარებისა და ტყეების“ მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის უბნის ნომინაციაზე წარსადგენ სამეცნიერო დოკუმენტაციის მომზადებას. 2017 წლის 15 აგვისტოს ქობულეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში გაიმართა სამუშაო შეხვედრა, სადაც განხილულ იქნა მენეჯმენტის გეგმასთან დაკავშირებული შენიშვნები და კომენტარები დაცული ტერიტორიების სააგენტოს, მენეჯმენტის გეგმაზე მომუშავე ჯგუფის და ქობულეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. 2017 წლის 6-7 დეკემბერს დაცული ტერიტორიების სააგენტოში გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომელიც ეძღვნებოდა კოლხეთის, მტირალას, მაჭახელას, კინტრიშის და ქობულეთის დაცული ტერიტორიებისათვის UNESCO-ს ნომინაციაზე წარსადგენი სამუშაოების განხილვას.

2017 წლის 19 დეკემბერს ქობულეთის მუნიციპალიტეტში გაიმართა ქობულეთის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის საჯარო განხილვა. 2017 წლის 22 დეკემბერს ბათუმში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში გაიმართა ქობულეთის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმის საჯარო განხილვა. 2018 წლის 18 სექტემბერს დოკუმენტი – ქობულეთის დაცული ტერიტორიების, ქობულეთის ნაკრძალისა და ქობულეთის ალკვეთილის მენეჯმენტის გეგმის პროექტი სოციალურ ქსელში გავრცელდა საჯარო განხილვისთვის. 2018 წლის 24 ოქტომბერს ქობულეთის დაცული ტერიტორიების, ქობულეთის ნაკრძალისა და ქობულეთის ალკვეთილის მენეჯმენტის გეგმის პროექტის საჯარო განხილვა გაიმართა დაცული ტერიტორიების სააგენტოში.

მუხლი 6. მენეჯმენტის გეგმის მოქმედების პერიოდი

მენეჯმენტის გეგმა ძალაშია მისი დამტკიცებიდან 9 წლის განმავლობაში.

მხლი 7. მენეჯმენტის გეგმაში ცვლილებების შეტანა და განახლება

1. მენეჯმენტის გეგმაში ცვლილებების შეტანა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
2. მენეჯმენტის გეგმის ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს მეცხრე წლის პირველი კვარტალისა, დაცული ტერიტორიების სააგენტო დაიწყებს ახალი მენეჯმენტის გეგმის მომზადებას, რომელიც მიღებული იქნება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II დაცული ტერიტორიის აღწერა

მუხლი 8. ადგილმდებარეობა და ფართობი

1. ქობულეთის დაცული ტერიტორიების – ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალისა და ქობულეთის ალკვეთილის ტერიტორია, ფართობი და საზღვრები განსაზღვრულია „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით და მოიცავს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიას.

2. ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალი მოიცავს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე „ისპანი 2“ სფაგნუმთან ტორფნარს და მიმდებარე ტყით დაფარული ფართობის ვიწრო ზოლს. ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალის ჩრდილოეთი საზღვრის ხაზი დაახლოებით 3 კილომეტრის მანძილზე გადის „ისპანი 2“ სფაგნუმთან ტორფნარის ნაპირის გასწვრივ. აღმოსავლეთით საზღვრის ხაზი დაახლოებით 0,5 კილომეტრის მანძილზე გადის სოფელ ოჩხამურის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებსა და „ისპანი 2“ ტორფნარს შორის. სამხრეთით საზღვრის ხაზი 0,8 კილომეტრის მანძილზე გადის ტორფნარის ნაპირის და 2,2 კილომეტრის მანძილზე – მდინარე შავი ღელის ნაპირის გასწვრივ. დასავლეთი საზღვრის ხაზი დასავლეთიდან 1 კილომეტრის მანძილზე გადის ტორფნარის კიდეზე არსებული ტყით დაფარული ფართობის (ზოლის) გასწვრივ.

3. ქობულეთის ალკვეთილი მოიცავს „ისპანი 1“ სფაგნუმთან ტორფნარს, მიმდებარე რელიქტურ ტყეს და მეორად მდელოებს. ჩრდილოეთი საზღვრის ხაზი 4,6 კილომეტრის მანძილზე გადის მდინარე ტოგონის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ. აღმოსავლეთი საზღვრის ხაზი 2,6 კილომეტრის მანძილზე გადის სოფელ ოჩხამურის დასავლეთი განაპირა საზღვრის გასწვრივ. სამხრეთ-დასავლეთი საზღვრის ხაზი 3,4 კილომეტრის მანძილზე გადის მდინარე შავი ღელის მარცხენა ნაპირის გასწვრივ. დასავლეთი საზღვრის ხაზი 1,4 კილომეტრის მანძილზე გადის მდინარე შავი ღელის მარცხენა ნაპირის გასწვრივ.

მუხლი 9. ქობულეთის დაცული ტერიტორიების ისტორია

კოლხეთის ჭარბტენიანი ეკოსისტემის დაცვისა და მოვლა-პატრონობის მიზნით, საქართველო 1996 წლის 30 აპრილს მიუერთდა რამსარის საერთაშორისო მნიშვნელობის კონვენციას. 1997 წლიდან კი „ისპანი 2“ სფაგნუმთან ტორფნარს იცავს რამსარის კონვენცია. 1999 წლის 1 იანვარს ამოქმედდა საქართველოს კანონი „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“, რომლის საფუძველზეც შეიქმნა ქობულეთის დაცული ტერიტორიები.

მუხლი 10. დაცული ტერიტორიების მნიშვნელობა ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე

1. ეროვნული და რეგიონალური მნიშვნელობა:

ა) ქობულეთის დაცული ტერიტორიები მოიცავს: ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალს, რომელიც მიეკუთვნება დაცული ტერიტორიების IUCN-ის I კატეგორიას და საქართველოში არსებულ 14 სახელმწიფო ნაკრძალს შორისაა, ხოლო ქობულეთის ალკვეთილი, რომელიც დაცული ტერიტორიების IUCN-ის IV კატეგორიას მიეკუთვნება, საქართველოში ამჟამად არსებული 19 ალკვეთილიდან ერთ-ერთია.

ბ) ქობულეთის მუნიციპალიტეტში, ქობულეთის დაცული ტერიტორიების გარდა, მდებარეობს კინტირის დაცული ტერიტორიები და მტირალას ეროვნული პარკი.

გ) ქობულეთის დაცული ტერიტორიები საქართველოს სხვა დანარჩენი დაცული ტერიტორიებისაგან გამოირჩევა ცოცხალი სფაგნუმთან ტორფნარების არსებობით. აქედან გამომდინარე, ქობულეთის დაცულ ტერიტორიებს რეგიონის ეკონომიკასა და ეკოლოგიაში უდიდესი წვლილი მიუძღვის.

2. საერთაშორისო მნიშვნელობა:

ა) ქობულეთის დაცული ტერიტორიის ჭარბტენიანი ჰაბიტატები სრულიად აკმაყოფილებს რამსარის კონვენციის მიხედვით საერთაშორისო ღირებულების რამსარ საიტისათვის აუცილებელ სავალდებულო კრიტერიუმებს (The Ramsar sites Criteria ვ.1,2). ჯგუფი A-ს მიხედვით ქობულეთის დაცულ ტერიტორიებზე წარმოდგენილია მსოფლიო უნიკალური სფაგნუმიანი ტორფნარები. ჯგუფი B-ს (განსაკუთრებული ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია) მიხედვით:

ა.ა) იშვიათი და საფრთხის წინაშე მყოფი სახეობები და მცენარეთა თანასაზოგადოებები;

ა.ბ) ტერიტორია მნიშვნელოვანია წყლის ფრინველის სახეობის 1%-ისთვის (მაგ. ალკუნნი, ძელქორი);

ა.გ) ტერიტორია მნიშვნელოვანია ჭარბტენიან ტერიტორიაზე დამოკიდებული არა ფრინველი სახეობის 1%-ისთვის (მაგ.: წავი);

ბ) 1999 წელს ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალზე ჰოლანდიელი და ქართველი მეცნიერების მიერ ჩატარებულმა ერთობლივმა მეცნიერულმა კვლევამ აჩვენა, რომ „ისპანი 2“ სფაგნუმიანი ტორფნარი ჰიდროგენტიკაზე დაყრდნობით მსოფლიოში პირველ პერკოლაციური ტიპის ტორფნარს წარმოადგენს. სწორედ ამ უნიკალურობის გამო, ქობულეთს და მთლიანად კოლხეთს განსაკუთრებული ადგილი უკავია ტორფნარების მსოფლიო რუკაზე;

გ) ისპანი 2-ის სფაგნუმიანი ტორფნარები აკმაყოფილებენ UNESCO-ს IX და X კრიტერიუმებს, რაც მნიშვნელოვანია დაცულ ტერიტორიებზე წარდგენილ კოლხურ ტყეებთან ერთად მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის უბნის ნომინაციისათვის;

დ) 2015 წლიდან ქობულეთის დაცული ტერიტორიები მსოფლიო ტორფნარების სამეცნიერო ცენტრის ოფიციალური წევრია;

ე) ქობულეთის დაცული ტერიტორიის ჭარბტენიანი ჰაბიტატები (რელიქტური ტყეები, ტორფნარები, ბუნებრივი მტკნარწყლიანი ტბორები) აკმაყოფილებენ „სპეციალური კონსერვაციული მნიშვნელობის ტერიტორიების“ (ზურმუხტის ქსელი) კონსერვაციის კრიტერიუმებს:

ე.ა) საიტი უზრუნველყოფს ბერნის კონვენციით დაცული საფრთხის წინაშე მყოფი (მათ შორის მიგრირებადი) სახეობების დაცვასა და გრძელვადიან შენარჩუნებას;

ე.ბ) ტერიტორია მნიშვნელოვანია სახეობებისა და ჰაბიტატებისთვის, მათი გავრცელების არეალის, მრავალფეროვნების და კონკრეტული კონსერვაციული საჭიროებების თვალსაზრისით;

ე.გ) ბერნის კონვენციით დაცული და გლობალური სტატუსის (IUCN) მქონე ჰაბიტატი. ბერნის კონვენციით დაცულია და გლობალური სტატუსის მქონეა ბუნებრივი მტკნარწყლიანი ტბორი ბუშტოსანას დომინანტობით.

მუხლი 11. გეოლოგია

გეომორფოლოგიური თვალსაზრისით, ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალისა და ქობულეთის ალკვეთილის ტერიტორია მოიცავს ქობულეთის ზღვისპირა დაბლობის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს. თავის მხრივ, ქობულეთის ზღვისპირა ნაწილი კოლხეთის აკუმულაციური დაბლობის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ დაბოლოებას წარმოადგენს. აღნიშნული ტერიტორიის ზედაპირი, ერთი შეხედვით, იდეალურად ბრტყელია და თითქმის არ არის დანაწევრებული. სინამდვილეში კი, ზღვის ნაპირისკენ საკმაოდაა დახრილი. ასე მაგალითად, ტერიტორიის უკიდურეს აღმოსავლეთ ნაწილის ზედაპირის აბსოლუტური სიმაღლე 6 მ-ს აღემატება, დასავლეთი ნაწილისა კი მხოლოდ 2,1–2,5 მ-ის საზღვარში ცვალებადობს. ტერიტორიის განვრცობა აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ (ზღვისკენ) სულ 3 კმ-ს შეადგენს. აღნიშნული ტერიტორიის უდიდესი ნაწილი სფაგნუმიანი ტორფნარს უკავია,

რომლის ჩრდილო-აღმოსავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი უბნები ძნელად შესამჩნევ ტორფიან გუმბათებს წარმოადგენს. ეს უბნები 3-5 მ-ით არიან ამაღლებული ტორფნარის პერიფერიულ ზოლთან შედარებით. მდინარეებისა და არხების ჩაჭრის სიღრმე ტერიტორიის ზედაპირში 1-1,5 მ-ს არ აღემატება, ხოლო მათი სიგანე 2,5 – 5 მ-ის საზღვრებში ცვალებადობს. ტერიტორიას, რელიეფის ხასიათის მიხედვით ესაზღვრება: აღმოსავლეთით ჩაქვის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთი კალთის გორაკბორცვიანი ზოლი; ჩრდილოეთით – შავი ზღვისკენ უმნიშვნელოდ დახრილი, ბრტყელი ზედაპირის მქონე ნატანების ალუვიური ვაკე; სამხრეთით – წარსულში ტორფის კარიერად გამოყენებული ძლიერ დეგრადირებული ტორფნარი, ხოლო დასავლეთით – ზღვის ნაპირის გასწვრივ გაჭიმული ქვიშაკენჭოვანი ზვინულების ზოლი. ამ უკანასკნელის სიგანე 200–300 მ-ს შეადგენს, ხოლო სიმაღლე 4–6 მეტრს აღწევს. სანაპირო ზვინულების ზედაპირზე ქობულეთის განაშენიანებაა. ტერიტორიის უდიდესი ნაწილი, როგორც უკვე აღინიშნა, სფაგნუმიან ტორფნარებს – „ისპანი 1“-სა და „ისპანი 2“-ს უკავია. აქ ჩატარებული გეოლოგიური გაბურღვების შედეგად მოპოვებული მასალების ანალიზი მოწმობს, რომ ისპანის ტორფნარი ერთიანი ჰორიზონტისგან შედგება, რომლის სიმძლავრე 5 – 9 მ-ის საზღვრებში ცვალებადობს. ტორფის ძირითადი მასა სფაგნუმის ხავსებით წარმოქმნილი ტორფითაა წარმოდგენილი. რადიოკარბონული მეთოდის გამოყენებით ტორფნარში ყველაზე ღრმად მდებარე (9 მ სიღრმეზე) ტორფის ფენის აბსოლუტური ასაკი 4480 და 5000 წლით არის დათარიღებული. საყურადღებოა აღინიშნოს, რომ ტორფის ჰორიზონტის ქვეშ, ბურღვის მასალების მონაცემებით დაფიქსირებულია სანაპირო-ზღვიური ფაციესის ნალექების ქვიშის, ხვინჭის და თიხნარის განვითარება. ქობულეთის ჭარბტენიანი ტერიტორიის პერიფერიაზე მდებარე უბნები აგებულია დანალექი ქანების საკმაოდ რთული პოლიგენეტური კომპლექსით. კერძოდ, სანაპიროქვიშაიანი-კენჭიანი ზვინულის აგებულებაში ზედაპირიდან 10-12 მ-ის სიღრმემდე მონაწილეობენ სხვადასხვა გრანულომეტრიული შედგენილობის ქვიშები, ხვინჭა, წვრილი და საშუალო დიამეტრის კენჭები. იმავე სიღრმემდე ჭაობის ჩრდილო და აღმოსავლეთ უბნებზე ძირითადად მდინარული წარმოშობის ნალექებია განვითარებული (მოყვითალო ფერის ქვიშა-თიხები, ლამიანი ქვიშები, წვრილი კენჭების და როჯკის შემცველობის). სამხრეთით მდებარე ტერიტორია, საკმაოდ ვრცელ ტორფიან მასივს ეკავა, რომელიც ახლო წარსულში ტორფის კარიერად იყო გამოყენებული. სადაზვერვო გეოლოგიურ სამუშაოების მასალები (რაც მოპოვებული იქნა აღნიშნული კარიერის გახსნამდე) მოწმობენ, რომ ამ ტერიტორიაზე განვითარებული იყო ტორფის ჰორიზონტი, რომლის მაქსიმალური სიმძლავრე 8 მ-ს აღწევდა. ტორფის ჰორიზონტის ქვეშ 12-14 მ სიღრმემდე ბურღვის მასალების მიხედვით სანაპირო ზღვიური ფაციესის ქვიშებია დაფიქსირებული.

ნაკრძალზე შესრულებულმა ტორფის სტრატეგრაფიულმა ჭრილებმა აჩვენა, რომ „ისპანი 2“ ტორფნარი ახალგაზრდაა. ისპანის ტორფნარებზე ტორფის დაგროვების პროცესი 1700 წლის წინ დაიწყო.

მუხლი 12. ჰიდროლოგია

ქობულეთის ჭარბტენიან ტერიტორიაზე და მასთან ჩრდილოეთით და სამხრეთით მიმდებარე ზღვისპირა ვაკეზე გაედინება მდინარეები – ნატანები, ოჩხამური, ჩოლოქი, შავი ღელე, ტოგონი, აჭყვა და კინტრიში. ამ მდინარეებიდან საკუთრივ სახელმწიფო ნაკრძალისა და ალკვეთილის ტერიტორიას მიეკუთვნება ტოგონი და შავი ღელე. ორივე ეს მდინარე სათავეს იღებს გორაკბორცვიან ზოლში და მათი წყალშემკრები აუზების მცირე ფართობის გამო თხიერი ჩამონადენის უმნიშვნელო მოცულობით ხასიათდება. ქობულეთის მუნიციპალიტეტის არცერთი მდინარე სათავეს არ იღებს მუდმივი თოვლისა და მყინვარების

ტერიტორიიდან. ისინი ძირითადად იკვებებიან წვიმის, თოვლის ნადნობი წყლით და მიწისქვეშა წყლებით. ამიტომ მათ ახასიათებთ გაზაფხულისა და შემოდგომის წყალდიდობა. მდინარეების უმეტესობა ხასიათდება დიდი ვარდნით, ჩქარი დინებით. მდინარეები გარკვეულ მონაკვეთზე პერიოდულად ხან ერთ, ხან მეორე სანაპიროს უტევს, რის გამოც ზიანდება საავტომობილო გზები, ხიდები, ნათესები და საცხოვრებელი სახლები. ჰიდროგრაფიული ქსელის სხვა ობიექტებიდან უნდა აღინიშნოს რამდენიმე წყალსაწრეტი არხი, რომლებიც ძირითადად სახელმწიფო ნაკრძალისა და აღკვეთილის ტერიტორიის დასავლეთ, სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში და მიმდებარე უბნებში არის გაყვანილი. ჰიდრაულიკური გამტარუნარიანობა პერკოლაციურ ტორფნარებში გაცილებით მაღალია ვიდრე სხვა სახის ტორფნარებში. სწორედ მაღალი ჰიდრაულიკური გამტარუნარიანობის გამო არ ახასიათებს წყლის ზედაპირული ჰორიზონტალური დინება, როგორც სხვა ტორფნარებს, არამედ დამახასიათებელია წყლის ვერტიკალური დინება მთლიანი ტორფნარის სიღრმეში.

უხვი ატმოსფერული ნალექების და ვაკე რელიეფის პირობებში ქობულეთის ზღვისპირა დაბლობზე ჭარბობს ჰიდრომორფული და ალუვიური წარმოშობის ნიადაგები. საკუთრივ სახელმწიფო ნაკრძალისა და აღკვეთილის ტერიტორიაზე თითქმის მთლიანად ტორფიანი და ლამიან-ჭაობური ნიადაგებია განვითარებული. ჩრდილო და აღმოსავლურ მოსაზღვრე უბნებზე ძირითადად ეწერი და ალუვიურ-ჭაობური ნიადაგი გვხვდება; ზღვისპირა ქვიშიან-კენჭოვანი ზვინულების ზოლში, ზედაპირული წყლების უკეთესი დრენაჟის პირობებში მიმდინარეობს ალუვიურ-ქვიშიანი, თიხიან-ქვიშიანი და ნაწილობრივ მდელოს გაეწრებული კორდიანი ნიადაგების განვითარების პროცესი. ქობულეთის ჭარბტენიან ტერიტორიასთან მიმდებარე გორაკბორცვიან ზოლში წითელმიწა ნიადაგი ჭარბობს.

მუხლი 13. კლიმატი

კოლხეთის დაბლობის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ განშტოება – ქობულეთის დაბლობი, სადაც მდებარეობს ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალი და ქობულეთის აღკვეთილი გაშენებულია აკუმულაციურ ალუვიურ ვაკეზე, ზღვის დონიდან 3-5 მეტრის სიმაღლეზე. ქობულეთი გამოირჩევა ჰაერის მაღალი ფარდობითი ტენიანობით და ზღვის ქარებით მთელი წლის განმავლობაში, უხვი წვიმებით შემოდგომასა და ზამთარში; ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა უდრის +14,3°C-ს; იანვარში +5,8°C, აგვისტოში +23,0°C; აბსოლუტური მინიმუმი - 16°C; აბსოლუტური მაქსიმუმი + 41° C. ნალექების წლიური რაოდენობა მაღალია - 2352 მმ, მაგრამ იმის გამო, რომ უფრო ხშირად მათ აქვთ ხანმოკლე ხასიათი (ე.წ. „ტროპიკული თავსხმა“) და ტერიტორიის გეოლოგიური თავისებურების გამო (ის ძირითადად წარმოადგენს წყალგამტარ სუბსტრატს), წვიმები ნაკლებ გავლენას ახდენს ჰაერის სინოტივის ცვალებადობაზე. ქობულეთისთვის დამახასიათებელია მაღალი სინოტივე, რომელიც თავის მაქსიმუმს აღწევს გაზაფხულზე (75%), ხოლო ზამთარში – 70%. მზის ნათების ხანგრძლივობის წლიური ჯამი ქობულეთში შეადგენს 2 100 საათს, რითაც ის გამოირჩევა აჭარის კურორტებს შორის. დასავლეთიდან მიმდებარე გაშლილი ხმელეთი არ აბრკოლებს აღმოსავლეთის (დილის) მზის მოქმედებას ქობულეთის ტერიტორიაზე და თავისუფლად ატარებს ნოტიო ჰაერის მასებს ხმელეთის სიღრმეში და არ ახდენს მათს კონდენსაციას, როგორც ეს, მაგალითად, ბათუმში ხდება. ქარის საშუალო სიჩქარე ქობულეთში შეადგენს 2/3 მ/წმ. დღის საათებში ეს სიჩქარე მეტია, ვიდრე ღამე. ზღვის ბრიზის გაძლიერება შეიმჩნევა შუადღეს. საერთოდ, ზღვის ბრიზის მოქმედება შეიმჩნევა თითქმის მთელი დღე-ღამის განმავლობაში. ამასთან, ალიონზე ხშირია შტილი, ან თითქმის შეუძენველი ნიავი მატერიკის მხრიდან, რაც, აგრეთვე, ანელებს ზაფხულის სიცხეს. ძალზე იშვიათად არის ყინვები. აქ, დასავლეთიდან შემოჭრილი წყლის ორთქლით გაჯერებული

ჰაერის მასები შავი ზღვის სანაპიროზე და მოსაზღვრე მთებზე უხვსა და ხანგრძლივ ნალექებს წარმოშობს. ლიხისა და არსიანის ქედების დასავლეთ კალთაზე უხვი ნალექები მოდის. წლის თბილ პერიოდში გამუდმებით ქრის დასავლეთის ქარი ზღვიდან ხმელეთისკენ, ხოლო ცივ პერიოდში – აღმოსავლეთის ქარი ხმელეთიდან ზღვისკენ. კავკასიონისა და ლიხის ქედებიდან დაშვების დროს ჰაერი იკუმშება და თბება. ჩვეულებრივ მშრალი და თბილი ქარის სახითაა, რომელსაც ფიონებს უწოდებენ. ზღვის სანაპიროზე უბერავს ბრიზი, რომელიც იცვლის მიმართულებას დღე-ღამის განმავლობაში, დღისით ქარი ქრის ზღვიდან ხმელეთისაკენ, ღამით კი ხმელეთიდან ზღვისაკენ.

მუხლი 14. ლანდშაფტი

ქობულეთის დაცული ტერიტორიები – ქობულეთის ნაკრძალი და ქობულეთის აღკვეთილი კოლხეთის დაბლობის სამხრეთ ნაწილს, ფიტოგეოგრაფიულად უძველესი ხმელთაშუაზღვისპირეთის რეგიონს წარმოადგენს. მესამეული გამყინვარების ეპოქაში კლიმატი ჩრდილო ნახევარსფეროში თბილი და ტენიანი იყო. ლანდშაფტი კი მდიდარი ტროპიკული და სუბტროპიკული მერქნიანი მცენარეებით შექმნილი. მოგვიანებით, გლობალურმა აცივებამ, რომელიც 15 მლნ წლის წინ დაიწყო, კულმინაციას მიაღწია გამყინვარების სახით და მერქნიანმა მცენარეებმაც სამხრეთისაკენ მიგრირება დაიწყეს. მათი უმრავლესობა შემოინახა გარემო პირობების ცვლილებებისაგან განსაკუთრებულად დაცულ ადგილას, ე.წ. „რეფუგიუმში“, სადაც შემორჩა თბილი და ტენიანი კლიმატი. აქ, რელიქტები მეოთხეული პერიოდის ოთხჯერად გამყინვარებას გადაურჩნენ. გამყინვარება კოლხეთში ადგილობრივი მნიშვნელობისა იყო. ზოგიერთი მყინვარი ეშვებოდა ველამდე. შემდგომ პერიოდში კი კლიმატის დათბობის კვალდაკვალ მყინვართა უკან დახევამ თან გაიყოლია მრავალი მცენარე. კოლხეთის რეფუგიუმმა შემოინახა რელიქტური (კაინოზოური) სახეობები, რომლებიც ფართოდ იყვნენ გავრცელებული ევროპაში მრავალი მილიონი წლის წინ და გამყინვარების ეპოქაში გაქრნენ.

მუხლი 15. ბიომრავალფეროვნება

1. ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალისთვის დამახასიათებელი ჰაბიტატები:

ა) ცოცხალი სფაგნუმისანი პერკოლაციური ტიპის ტორფნარი – „ისპანი 2“. თითქმის გაუხრწნელი მცენარეებისაგან წარმოქმნილ ფოროვან ტორფმარში ტორფი პერკოლაციური ანუ შეღწევადაია. წყალი შეუფერხებლად ჟონავს მთელს ტორფნარში ყველა მიმართულებით. როდესაც წვიმს, წყლის ახალი მასები აწვება ტორფს, ხოლო ძველი კი გამოედინება, ისე მოქმედებს როგორც წყლით გაჟღენთილი ღრუბელი. ტორფნარში წყალი მუდმივად ერთ დონეზეა მხოლოდ ხშირი და უხვი წვიმების წყალობით. არავითარი კავშირი არა აქვს გრუნტის წყალთან. გუმბათის წარმოქმნილი სფაგნუმის სახეობები მსოფლიოში ყველაზე მაღალი ზრდის ტემპით გამოირჩევიან (32 სმ წლის განმავლობაში), შედეგად ტორფის აკუმულაციის პროცესიც ყველაზე მაღალია მსოფლიოში და იგი წელიწადში 4 მმ-ს შეადგენს. სფაგნუმისანი ტორფნარის გუმბათი შემოგარენიდან 5 მეტრითაა წამოწეული. ტორფნარზე იზრდება მესამეული პერიოდის გამყინვარების დროინდელი კაინოზოური რელიქტები, როგორცაა: მთლიანი სფაგნუმისანი გუმბათის წარმოქმნილი ოთხი სახეობის სფაგნუმი – აუსტინის სფაგნუმი (*Sphagnum austinii*), ტიხრებიანი სფაგნუმი (*Sphagnum papillosum*), წითელი სფაგნუმი (*Sphagnum rubellum*), ჭაობის სფაგნუმი (*Sphagnum palustre*), სამეფო გვიმრა (*Osmunda regalis*), ლაზური ისლი (*Carex lasiocarpa*), ჩრდილოეთის ისლი (*Molinia litoralis*), წყლის სამყურა (*Menyanthes trifoliata*), თეთრი რინხოსპორა (*Rhynchospora alba*), მწერიჭამია დროზერა (*Drosera rotundifolia*). ტორფნარზე ხარობს მანანასებრთა ოჯახის კოლხეთის ფლორის მერქნიანი სახეობები: შქერი (*Rhododendron ponticum*), იელი (*Rhododendron luteum*),

მოცვი (*Vaccinium arctostaphyllum*). მანანასებრთა ოჯახის წარმომადგენელია ასევე – მანანა ჩვეულებრივი (*Calluna vulgaris*), რომელიც მხოლოდ ქობულეთის ისპანის სფაგნუმთან ტორფნარებში იზრდება;

ბ) რელიქტური კოლხური ტყეები. კოლხური ტყე პატარა ფრაგმენტის სახითაა შემორჩენილი „ისპანი 2“ ტორფნარის უკიდურეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. აქ გვხვდება კავკასიისა და საქართველოს წითელი ნუსხის სახეობა – ჰარტვისის მუხა (*Quercus hartwissiana*), იზრდება ასევე რცხილა (*Carpinus betulus*), მურყანი (*Alnus glutinosa* subsp. *barbata*), ტირიფის ორი სახეობა (*Salix cinerea*, *Salix caprea*), ხეჭრელი (*Rhamnus frangula*);

გ) ბუნებრივი მტკნარწყლიანი ტბორები და არხები. „ისპანი 2“ ტორფნარის განაპირას ბუნებრივი არხებია, სადაც გავრცელებულია ყვითელი დუმფარა (*Nymphaea lutea*), გლობალური წითელი ნუსხის სახეობები: კოლხური დუმფარა (*Nymphaea colchica*) და წყლის ვაზი – (*Potamogeton natans*). არხებთან ახლოს იზრდება შხაპრი (*Sparganium neglectum*).

2. ქობულეთის ალკვეთილისთვის დამახასიათებელი ჰაბიტატები:

ა) პერკოლაციური სფაგნუმის ტორფნარი – „ისპანი 1“ წარმოადგენს ქობულეთის ალკვეთილს, რომელიც წლების წინ გაყვანილი სადრენაჟე არხების გამო ნაწილობრივ დეგრადირებულია. დღეისათვის ანთროპოგენური ფაქტორის ზემოქმედების შეწყვეტის შემდეგ ტორფნარი კვლავ უბრუნდება თავის პირვანდელ მდგომარეობას. ქობულეთის ალკვეთილში ხარობს ფლორის ყველა ის სახეობა, რომელიც ქობულეთის ნაკრძალშია წარმოდგენილი. როგორცაა: კავკასიის ენდემი – კავკასიის რინხოსპორა (*Rhynchospora caucasica*), გლობალური წითელი ნუსხის სახეობები მედვედევის რამფიკარპა (*Rhamphicarpa medwedewii*) და – ხერხა (*Cladium mariscus*);

ბ) ბუნებრივი მტკნარწყლიანი ტბორები. ქობულეთის ალკვეთილის ჩრდილოეთით მდებარეობს ორი მცირე ზომის მტკნარწყლიანი ტბორი, სადაც იზრდება გლობალური წითელი ნუსხის სახეობები: ბუმტოსანა (*Utricularia minor*) და რქაფოთოლა (*Ceratophyllum demersum*);

გ) რელიქტური კოლხური ტყეები ტორფის საფარით. ძირითად სახეობებს წარმოადგენს: რცხილა (*Carpinus betulus*), მურყანი (*Alnus glutinosa* subsp. *barbata*), ტირიფის ორი სახეობა (*Salix cinerea*, *Salix caprea*), ხეჭრელი (*Rhamnus frangula*).

დ) სახეშეცვლილი ანთროპოგენური ჰაბიტატი. წარმოდგენილია:

დ.ა) ტყის გაჩეხვის შედეგად ჩამოყალიბებული მეორადი მდელოებით, სადაც ძირითადად ინვაზიური სახეობები იზრდება, როგორცაა: თუნბერგის მატიტელა (*Polygonum thunbergii*), ჭილი (*Juncus acutus*) და ამბროზია (*Ambrosia artemisiifolia*);

დ.ბ) ევკალიპტების ნარგაობებით, სადაც ხარობს ცისფერი ევკალიპტი (*Eucalyptus cinerea*), ტირიფისებრი ევკალიპტი (*Eucalyptus viminalis*), ჭაობის სფაგნუმი (*Sphagnum palustre*), ევკალიპტის (*Miscanthus sinensis*), ანდროპოგონი (*Andropogon virginicus*).

3. ფლორა: ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალის ფლორა წარმოდგენილია: 95 სახეობით, მათ შორის 17 სახეობის ხავსი და ჭურჭლოვანი მცენარეების 76 სახეობა; ქობულეთის ალკვეთილის ფლორა წარმოდგენილია 233 სახეობით, მათ შორის 17 სახეობის ხავსი, 216 სახეობა კი ჭურჭლოვანია. სულ ქობულეთის დაცული ტერიტორიების ფლორის სასიცოცხლო ფორმა მოიცავს: ხეების 6 სახეობას, ბუჩქების 9 სახეობას, ხე ან ბუჩქის 2 სახეობას, ლიანების 3 სახეობას, გვიმრების 4 სახეობას, ერთწლოვანი ბალახოვნების 57 სახეობას, ორწლოვანი ბალახოვნების 5 სახეობას. მრავალწლოვანი ბალახოვნების 119 სახეობას, ერთწლოვან ან ორწლოვან ბალახოვნების 5 სახეობას, ერთწლოვან ან მრავალწლოვანი ბალახოვნების 1 სახეობას. ტაქსონომიური ჯგუფებია: ხავსისნაირების (*Bryophyta*) 8 ოჯახის, 12 გვარის 19 სახეობა, გვიმრანაირების (*Pteridophyta*) 4 ოჯახის, 4 გვარის 4 სახეობა; თესლოვნების (*Spermatophyta*): 45 ოჯახის, 117 გვარის 207 სახეობა;

შიშველთესლოვნების (*Gymnospermae*): 1 ოჯახის, 1 გვარის 1 სახეობა. ფარულთესლოვნების (*Angiospermae*): 44 ოჯახის, 116 გვარის 206 სახეობა. ორლებნიანების (*Dicotyledones*): 35 ოჯახის, 56 გვარის 124 სახეობა, ერთლებნიანების (*Monocotyledone*): 9 ოჯახის, 60 გვარის 82 სახეობა. სულ: 57 ოჯახის, 133 გვარის 230 სახეობისა და სახესხვაობის მცენარე.

ა) გლობალური წითელი ნუსხის მცენარეები: ტორფნარზე ხარობს მსოფლიო გლობალური წითელი ნუსხის სახეობები: ჯადვარი (*Spiranthes amoena*), წყლის სამყურა (*Menyanthes trifoliata*), თეთრი რინხოსპორა (*Rhynchospora alba*), სამეფო გვიმრა (*Osmunda regalis*), ხერხა (*Cladum mariscus*), მედვედევის რამფიკარპა (*Rhamphicarpa medwedewii*). ბუნებრივ მტკნარწყლიან ტბორებში იზრდება: ბუმტოსანა (*Utricularia minor*), არხებში გვხვდება ყვითელი დუმფარა (*Nuphar lutea*);

ბ) საქართველოს წითელი ნუსხის მცენარეები: საქართველოს წითელი ნუსხის სახეობებიდან ქობულეთის დაცულ ტერიტორიებზე იზრდება ჰართვისის მუხა (*Quercus hartwissiana*), რომელიც ასევე კავკასიის წითელ ნუსხაშია შეტანილი;

გ) ენდემური მცენარეები: ქობულეთის დაცულ ტერიტორიებზე ენდემური სახეობებიდან იზრდება: კავკასიის ენდემი -კავკასიის რინხოსპორა (*Rhynchospora caucasica*) და კოლხური დუმფარა (*Nymphaea colchica*);

დ) რელიქტური ფლორა: გამომდინარე იქედან, რომ სფაგნუმიანი ტორფნარები რელიქტურია, რელიქტურია აქ გავრცელებული ფლორის სახეობებიც როგორცაა: მწერიჭამია დროზერა (*Drosera rotundifolia*), ჩრდილოეთის ისლი (*Molinia litoralis*), თეთრი რინხოსპორა (*Rhynchospora alba*), სამეფო გვიმრა (*Osmunda regalis*), წყლის სამყურა (*Menyanthes trifoliata*), მანანა ჩვეულებრივი (*Calluna vulgaris*), ხერხა (*Cladium mariscus*), აუსტინის სფაგნუმი (*Sphagnum austinii*), ტიხრებიანი სფაგნუმი (*Sphagnum papillosum*), წითელი სფაგნუმი (*Sphagnum rubellum*), ჭაობის სფაგნუმი (*Sphagnum palustre*), ჯადვარი (*Spiranthes amoena*), პონტოს შქერი (*Rhododendron ponticum*), იელი (*Rhododendron luteum*), მოცვი (*Vaccinium arctostaphyllum*), ისლი (*Carex lasiocarpa*).

4. ფაუნა: ფრინველები. ქობულეთის დაცული ტერიტორიები, როგორც რამსარის საერთაშორისო კონვენციის ჭარბტენიანი ტერიტორია, მდიდარია მოზუდარი, მიგრირებადი და გადამფრენი ფრინველებით. შემოდგომასა და გაზაფხულზე აქ უამრავი ფრინველის ნახვა შეიძლება. ასევე წყალმცურავი ფრინველების ის წარმომადგენლები, რომელთა საბინადრო გარემოს წარმოადგენს არხებისა და ტბორების პირას წარმოდგენილი ჭარბტენიანი მაღალბალახეულობა, ესენია: სხვადასხვა სახეობის იხვები, ბატები და სხვა. ქობულეთის დაცული ტერიტორიების მიმდებარე ტყეები თავშესაფარს წარმოადგენს ღამის ფრინველებისათვის, როგორცაა ჭაობის ბუ (ბაიყუმი) (*Asio flammeus*). აქ ბინადრობს ჭაობის ძელქორი. აღრიცხულია 276 სახეობის მოზუდარი, მიგრირებადი და წყალმცურავი ფრინველი.

დაცული ტერიტორიის მცირე ზომა და დასახლებული ტერიტორიების შუაგულში არსებობა გამორიცხავს ფაუნის სახეობების დიდ მრავალფეროვნებას. ქობულეთის დაცულ ტერიტორიებზე აღრიცხულია ძუძუმწოვრების 10 სახეობა. არხების და მდინარეების პირას ბინადრობს გლობალური წითელი ნუსხის სახეობა – წავი (*Lutra lutra*). მღრღნელებიდან გვხვდება: რუხი ვირთაგვა (*Rattus norvegicus*), დედოფალა (*Mustela nivalis*). აღრიცხულია ამფიბიების 5 სახეობა. მათ შორის: ჩვეულებრივი გომბემო (*Bufo bufo*), მწვანე გომბემო (*Bufo viridis*), ქობულეთის ალკვეთილის სახეშეცვლილ მეორად ჭარბტენიან მდელოზე არსებულ ტბორებში ბინადრობს ჩვეულებრივი ტრიტონი (*Lissotriton vulgaris*) და მცირეაზიური ტრიტონი (*Ommatotriton vitatus*). გვხვდება ქვეწარმავლების 10 სახეობა. მათ შორის: წყლის ანკარა (*Natrix tessellata*), მწვანე ხვლიკი (*Daverskia armeniaca*), მარდი ხვლიკი (*Lacerta agilis*), ნაპირებთან ბინადრობს ჭაობის კუ (*Emys orbicularis*). თევზებიდან არხებსა და მდინარეებში

გვხვდება 8 სახეობის თევზი. ყველაზე მეტად გავრცელებული სახეობაა: ქარიყლაპია (*Esox lucius*). მიმდებარე ჭარბტენიან გარემოში მრავლადაა სამედიცინო წურბელა (*Hirudo medicinalis*). უხერხემლო ცხოველებიდან ლიტერატურული მონაცემებით აღრიცხულია 333 სახეობა. მათ შორის: რბილტანიანების 20 სახეობა, ფოთოლმჭამიების 18 სახეობა, ცხვირგძელების 5 სახეობა, ირემა ხოჭოების 1 სახეობა, ულვამფირფიტოვანი ხოჭოების 14 სახეობა, სიფრიფანაფრთიანების რიგის 11 ოჯახის 33 სახეობა, რიგი რუისელების 23 ოჯახის 224 სახეობა. შესწავლილია მიკობიოტა სფაგნუმის სახეობებში და იგი წარმოდგენილია სამი ოჯახის 11 სახეობით.

ა) გლობალური წითელი ნუსხის სახეობები: ქობულეთის დაცულ ტერიტორიებზე 6 სახეობის ფრინველი გლობალურად მოწყვლადია: ქოჩორა ვარხვი (*Pelecanus crispus*), ბეჟობის არწივი (*Aquila heliaca*), თეთრთვალა იხვი (*Oxyura leucocephala*), პატარა ღერღეტი (*Anser erythropus*), მარმარილოსებრი იხვი (*Marmaronetta angustirostris Menetries*), დალდა (*Crex crex*); ძუძუმწოვრებიდან: წავი (*Lutra lutra*).

ამფიბიებიდან: ჩვეულებრივი ტრიტონი (*Triturus vulgaris*)(*Lissotriton vulgaris*), მცირეაზიური ტრიტონი (*Triturus vitatus*)(*Ommatotriton vitatus*);

ბ) საქართველოს წითელი ნუსხის სახეობები: ფრინველებიდან საქართველოს წითელი ნუსხის სახეობებია: მურტალა (*Podiceps grisegaena*), ფასკუნჯი (*Neophron percnopterus*), ველის კაკაჩა (*Buteo Buteo rufinus*), გარიელი (*Melanita fusca*), ყარყატი (*Ciconia nigra*), ლაკლაკი (*Ciconia ciconia*).

მუხლი 16. მიწათსარგებლობა

ქობულეთის დაცული ტერიტორიების საზღვრებს შიგნით არსებული მიწები სახელმწიფოს საკუთრებაა. ქობულეთის დაცულ ტერიტორიებზე მიწათსარგებლობის ფორმები რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით.

მუხლი 17. დაცული ტერიტორიის მნიშვნელობა მეცნიერებისა და განათლებისათვის

პირველი სამეცნიერო კვლევები „ისპანი 1“ და „ისპანი 2“ ტორფნარებზე ბოტანიკური და გეოლოგიური მიმართულებით ფლეროვისა და დოქტუროვსკის მიერ 1936 წელს განხორციელდა. ისპანის ტორფნარები, როგორც რამსარ საიტი (1997 წლიდან) და მსოფლიო უნიკალური ჰიდროლოგიური რეჟიმის მქონე პერკოლაციური ტიპის (1999 წლიდან) ტორფნარები სამეცნიერო კვლევების უშრეტ წყაროს წარმოადგენს. განსაკუთრებულია დაინტერესება რამსარის კონვენციის, ვეტლენდს ინტერნაციონალის (Wetlands International), მსოფლიო ტორფნარების კონსერვაციის საერთაშორისო ჯგუფის (IMCG), მსოფლიო ტორფნარების საზოგადოების (IPS) და კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის წარმომადგენლებისათვის. „ისპანი 2“, როგორც მსოფლიო უნიკალური ჰიდროლოგიური რეჟიმის მქონე ეკოსისტემა, მნიშვნელოვანი სამეცნიერო ობიექტია ჰიდროლოგიური კვლევებისათვის. ისპანის ტორფნარები, როგორც რელიქტური (კაინოზოური) ფლორისა და ფაუნის თავშესაფარი, განსაკუთრებულ კვლევის ობიექტს წარმოადგენს ზოოლოგების, ბოტანიკოსების, პალინოლოგების და კლიმატოლოგებისათვის; ისპანის ტორფნარები აქ აღმოჩენილი ბრინჯაოს ხანის ისპანის ნამოსახლარის გამო საინტერესო საკვლევი ობიექტია არქეოლოგების, გეოლოგებისა და ისტორიკოსებისთვის. როგორც მიგრირებადი, მოზუდარი, წყალმცურავი და გადამფრენი ფრინველებისთვის მნიშვნელოვანი ჭარბტენიანი ჰაბიტატი, განსაკუთრებულია ორნითოლოგიური კვლევებისთვის. ისპანის ტორფნარებისთვის დამახასიათებელი გაუხრწნელი ტორფი და სფაგნუმის სახეობები სამეცნიერო კვლევების ობიექტს წარმოადგენს ფარმაცევტებისა და მედიცინის სხვადასხვა სფეროს

მეცნიერებისთვის. ისპანის სფაგუმთან ტორფნარებზე შესაძლებელია ისეთი სამეცნიერო კვლევების განხორციელება, რომელთა შედეგები საფუძვლად დაედება კომბინირებული, სოციალური და ეკოლოგიური პროექტების განხორციელებას.

მუხლი 18. სოციალურ-ეკონომიკური ასპექტები

ქობულეთის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის ძირითადი დამსაქმებელი არის გამგეობა, სასტუმროები და საბანკო სექტორი; სამრეწველო ინფრასტრუქტურა ნაკლებად არის განვითარებული. სამრეწველო ობიექტებიდან ფუნქციონირებს მხოლოდ ჩაის, საკონსერვო და სხვა მცირე საწარმოები; მაგრამ აღნიშნული ვერ უზრუნველყოფს ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლების ზრდას. მოსახლეობის ძირითად შემოსავლის წყაროს სასტუმროებისა და დამსვენებლებზე ბინების გაქირავებიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს. ქობულეთის დაცულ ტერიტორიებს მოსახლეობა ორი მხრიდან: დასავლეთით ქობულეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთით სოფ. ოჩხამურიდან ესაზღვრება. იაპონიის მთავრობის გრანტის „კოლხეთის დაცული ტერიტორიების მიმდებარე მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების“ ფარგლებში ქობულეთის დაცული ტერიტორიის მოსაზღვრე 45 ოჯახი უზრუნველყოფილი იქნა ბუნებრივი აირით, კეთილ მოეწყო ქუჩა და ტროტუარები, გაკეთდა განათება ქუჩებში, გაიზარდა მათ საოჯახო სასტუმროებში ტურისტების რაოდენობა და შესაბამისად გაუმჯობესდა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.

მუხლი 19. ისტორიულ-კულტურული ღირებულება

არქეოლოგიურ აღმოჩენებზე დაყრდნობით ქობულეთი – ფიჭვნარის ტერიტორია ერთ-ერთ უძველეს ნამოსახლარად ითვლება. ტერიტორიაზე სხვადასხვა პერიოდის სამოსახლოები დაახლოებით 100 ჰა ფართობზეა აღმოჩენილი. ყველაზე ძველი, ადრე ბრინჯაოს ხანის (ძვ.წ. III-II ათასწლეულები) დასახლება გათხრილია „ისპანის“ ტერიტორიაზე (ზღვის ნაპირიდან დაახლ 3 კმ). ადრე ბრინჯაოს ხანის „ისპანის“ ტორფქვეშა ნამოსახლარი (ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლო – ძვ.წ. II ათასწლეულის პირველი ნახევარი) 2 მ სისქის ტორფის ფენითაა დაფარული. 1974-1975 წწ. აქ გავლებულ სადაზვერვო თხრილებს უაღრესად საყურადღებო აღმოჩენები მოჰყვა. ქობულეთის აღკვეთილის სამხრეთით სადრენაჟე არხის გათხრისას იქნა აღმოჩენილი „ისპანის“ ნამოსახლარი. დღეისათვის ის უძველეს სამიწათმოქმედო კულტურის ძეგლს წარმოადგენს კოლხეთში. აქ ნაპოვნია ორი სხვადასხვა პერიოდის უძველესი ჯარგვალური და ხიმინჯებიანი ძეგურ ნაგებობათა ნაშთები. ნამოსახლარების გათხრისას ნაპოვნია ხის შენობათა ნაშთები, თიხის ჭურჭლები, ლითონის წარმოებასთან დაკავშირებული საგნები: საქმენი მილები, ტიგელები, ყალიბის ფრაგმენტები, ხისგან დამზადებული ცულის მოდელი, კაჟისა და ობსიდიანის იარაღები, თიხის ქანდაკებები, ფლორისა და ფაუნის ნიმუშები. მოსახლეობის ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, ლითონის დამუშავება, მეთუნეობა და ნადირობა. ადგილის დაჭაობების გამო, გვიანი ბრინჯაოს ხანიდან დასახლებამ მდინარეების ჩოლოქისა და ოჩხამურის სანაპიროებზე გადმოინაცვლა (ზღვის ნაპირიდან დაახლ. 1 კმ). აქ იგი ელინისტური პერიოდის ჩათვლით არსებობდა. შუა ბრინჯაოს ხანიდან კოლხეთის დაბლობზე იქმნება დასახლებათა ახალი ტიპი – ხელოვნურად მოზვინულ ბორცვებზე შენდება ხის ძეგური ნაგებობანი, რომლებსაც ირგვლივ თავდაცვითი თხრილი აკრავს. ბორცვების ორი ტიპი გამოიყოფა: ერთდროულად მოზვინული და კულტურული ფენების თანდათანობითი დალექვის შედეგად წარმოქმნილი, რომლებიც ადამიანთა ცხოვრების სხვადასხვა ეტაპს ასახავს. ტორფიანი ნიადაგის წყალობით ჩვენამდე მოღწეულია ხის არქიტექტურის ნიმუშები, უძველესი ფლორის, ფაუნისა და ოსტეოლოგიური მასალები,

ადამიანის სამეურნეო საქმიანობის (მიწათმოქმედება, მესაქონლეობა, მეთევზეობა, ნადირობა) ამსახველი არტეფაქტები (ხორბლეულისა და ღომის მარცვლები, ხის სახენელი, დელფინის ძვლები, ბადის საწაფები).

მუხლი 20. ეკოტურისტული ღირებულება

ტერიტორიის ეკოტურისტულ პოტენციალს განსაზღვრავს მიმზიდველი ბუნებრივი გარემო, ველური ბუნება, ზღვის და მთის ლანდშაფტები, ტორფნარები, გადამფრენი ფრინველები, მდიდარი ისტორიული და კულტურული ღირებულებები.

ქობულეთის დაცულ ტერიტორიებს, როგორც ფრინველთა მიგრაციის მნიშვნელოვან ძირითად საჰაერო გზას და საერთაშორისო ღირებულების რამსარის კონვენციით დაცულ უბანს, უდიდესი პოტენციალი გააჩნია ორნითოლოგების, ფრინველებზე დაკვირვების მოყვარულთა მოსაზიდად. აჭარის რეგიონში ფრინველებზე დაკვირვების ტურიზმი ერთ-ერთ პრიორიტეტულ ტურისტულ მიმართულებად ითვლება. ქობულეთი მსოფლიოში მესამე, გადამფრენი მტაცებელი ფრინველების მიგრირების ყველაზე ვიწრო დერეფანია. ამ სამიგრაციო დერეფანში შემოდგომაზე ყოველწლიურად აღირიცხება მილიონზე მეტი გადამფრენი ფრინველი. რეგიონში 2012 წლიდან ყოველწლიურად იმართება ფრინველებზე დაკვირვების ფესტივალი, 1000-ზე მეტი პროფესიონალი დამკვირვებელი და ტურისტი სტუმრობს აჭარას შემოდგომით. შესაძლებელია ფესტივალის სტუმრებისთვის ისპანის შეთავაზება წყლის ფრინველებზე დაკვირვების ერთ-ერთ დამატებით ლოკაციად. „კოლხეთის ტორფნარები და ტყეები“ UNESCO-ს მიერ განიხილება, როგორც მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის უბანი. მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის უბნის დაარსება კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ეკოტურიზმის განვითარებას. ტერიტორიის ეკოტურისტული პოტენციალის გამდიდრებას ხელს უწყობს მეორე რამსარ საიტთან – კოლხეთის ეროვნული პარკთან და ადრე ბრინჯაოს ხანის მნიშვნელოვან არქეოლოგიურ ძეგლთან „ნამჭედაურსა“ და „ფიჭვნართან“ სიახლოვე. ახლოსაა ასევე კინტრიშის დაცული ტერიტორიები, მტირალას ეროვნული პარკი და მაჭახელას ეროვნული პარკი; ტერიტორიას დამატებით ტურისტულ ღირებულებას სძენს, ერთი მხრივ, თავისი უნიკალურობა, მეორე მხრივ, მდებარეობა საქართველოს ტურისტებისთვის ერთ-ერთ მიმზიდველ რეგიონში. დაცული ტერიტორია მდებარეობს ქალაქში და მოწესრიგებული აქვს მისასვლელი საგზაო ინფრასტრუქტურა. ზღვაზე ჩამოსულ ტურისტს საშუალება ეძლევა მოინახულოს სანაპიროდან სულ რაღაც ორასიოდე მეტრში მდებარე მსოფლიო უნიკალური „ისპანის“ სფაგნუმიანი ტორფნარები. ქობულეთის დაცულ ტერიტორიას აქვს კომბინირებული ტურისტული პროდუქტის შეთავაზების შესაძლებლობა, რაც გულისხმობს ეკოტურისტულ მარშრუტზე დამატებითი სერვისების შეთავაზებას, როგორცაა კულინარია – ქობულეთური სამზარეულო და ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები. ამრიგად, ქობულეთის დაცულ ტერიტორიებს ეკოტურიზმის, ფრინველებზე დაკვირვების, კულტურული, საგანმანათლებლო, სამეცნიერო – კვლევითი ტურიზმის განვითარების დიდი პოტენციალი გააჩნია.

მუხლი 21. ეკოგანათლება და საზოგადოებასთან ურთიერთობა

ქობულეთის ნაკრძალისა და ქობულეთის აღკვეთილის ქ. ქობულეთთან სიახლოვე და მის გარშემო დასახლებული პუნქტების არსებობა საზოგადოებაში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების უნიკალურ შესაძლებლობებს იძლევა (კანონმდებლობით დადგენილი წესების ფარგლებში). ასეთი ადგილმდებარეობა განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებს ქმნის სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფისთვის, მათ შორის: სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის ლექცია სემინარების და სხვადასხვა პრაქტიკების განხორციელებისა და

ბუნებაში ქცევის წესების შესასწავლად. ერთმანეთის გვერდიგვერდ მდებარე, მსოფლიოში ყველაზე მეტად ხელუხლებელი ეკოსისტემა „ისპანი 2“ და იქვე დეგრადირებული მეორადი მდელოები, საუკეთესო მაგალითია იმის საჩვენებლად, თუ რა ზიანი შეიძლება მიაყენოს გარემოს ანთროპოგენურმა ზემოქმედებამ. ქობულეთის დაცული ტერიტორიების მართვასა და განვითარებაში ადგილობრივი მოსახლეობის სხვადასხვა სამიზნე ჯგუფის მონაწილეობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

მუხლი 22. ეკოსისტემური სერვისები

1. მომმარაგებელი სერვისები. ქობულეთის დაცული ტერიტორიების ჭარბტენიანი ჰაბიტატების მომმარაგებელ სერვისებს წარმოადგენს: საკვები და სასმელი რესურსები (წყალი, მცენარე, კენკრა, თევზი, ფრინველი და სხვ.) ადამიანისა და ცხოველებისათვის. ასევე სამკურნალო დანიშნულების მქონე გენეტიკური რესურსები.

2. მარეგულირებელი სერვისები. მარეგულირებელ სერვისებს წარმოადგენს: კლიმატისა და ჰიდროლოგიური რეჟიმის რეგულაცია, ბუნებრივი საფრთხეების (დატბორვა) თავიდან აცილება, წყლის გამწმენდი ფუნქცია და ნარჩენების რეგულირება. „ისპანის“ ტორფნარების ამ გარემოსდაცვით სერვისებს ქობულეთისათვის განსაკუთრებული გარემოსდაცვითი ღირებულებები გააჩნიათ.

ა) ტორფნარებს, იმ უნიკალური თვისების გამო, რომელიც გამოიხატება ნახშირბადის აკუმულაციაში, უდიდესი როლი ენიჭება, როგორც კლიმატის ცვლილების შემარბილებელ ეკოსისტემებს. ტორფნარების კონსერვაცია ეკონომიკურად ეფექტურია სათბური გაზების ემისიის შესამცირებლად. გამოთვლილია, რომ ბუნებრივი სახით ტორფნარების კონსერვაცია და აღდგენა შეამცირებს ოთხიდან 1.5 ტონამდე ნახშირორჟანგის ემისიას წელიწადში ჰექტარზე. რამსარის კონვენცია ხაზგასმით აღიარებს ტორფნარების მნიშვნელობას სათბური გაზების რეგულაციაში. რამსარის კონვენციით დაცული საერთაშორისო ღირებულების მქონე ჭარბტენიანი ჰაბიტატების საუკეთესო მენეჯმენტი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს სათბური გაზების რეგულაციაში;

ბ) ტორფნარებში დაგროვილი წყლის დიდი რაოდენობა ქობულეთის კლიმატის დაბალანსებას ახდენს. თბილ და მშრალ ამინდებში წყლის მუდმივი აორთქლების (ევაპოტრანსპირაციის) გამო ერთგვარ გამაგრილებელ მოწყობილობებს წარმოადგენენ. კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციამ და აგრო კულტურისა და სურსათის საერთაშორისო ორგანიზაციამ (FAO) აღიარა დრენირებული ტორფნარების აღდგენა და დატბორვასთან ადაპტირებული სოფლის მეურნეობის განვითარების აუცილებლობა. დრენირებული ტორფნარების აღდგენა კი ხელს შეუწყობს სათბური გაზების ემისიის შემცირებას ატმოსფეროში;

გ) ტორფნარების კლიმატის მარეგულირებელი ფუნქცია დამოკიდებულია მიწათსარგებლობაზე, როგორცაა დრენაჟი და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობები, რომლებიც პირდაპირ ზემოქმედებენ ნახშირბადის ბალანსსა და ემისიაზე. ტორფნარების მიმდებარე ტერიტორიების მიწათსარგებლობა და კლიმატი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ტორფნარებზე და მათ ნაირსახეობაზე. გასულ საუკუნეში ტორფის მოპოვებამ და ტყეების გაჩეხვამ უარყოფითად იმოქმედა რეგიონის ეკონომიკასა და კლიმატზე;

დ) ბუნებრივი სახით შემონახულ ტორფნარს, ტორფისათვის დამახასიათებელი ფაშარი ღრუბლისებრი აგებულებისა და გაბატონებული სფაგნუმის სახეობების გამო წყლის დიდი რაოდენობით შეწოვის და შენახვის უნარი აქვს. სფაგნუმის სახეობებს თავის წონასთან შედარებით 25-ჯერ მეტი რაოდენობის წყლის შეწოვის უნარი გააჩნიათ. ქობულეთში მაშინ, როცა დღე-ღამის განმავლობაში 100 მმ-ზე მეტი ნალექი მოდის, „ისპანი 2“-ის სფაგნუმის

გუმბათს 25 სმ და მეტი წამოწევის და წყლის ჭარბი რაოდენობის შეწოვის უნარი გააჩნია. წყლის გაცემა კი ხდება თანდათანობით ტორფის ზედა ფენების ზეწოლის შედეგად, რაც წყლის რეზერვუარის ეფექტს იძლევა. ამ თვისებიდან გამომდინარე, ტორფნარებს უდიდესი როლი მიუძღვით ჰიდროლოგიური რეჟიმის რეგულაციაში და მიმდებარე ტერიტორიების დატბორვისგან თავიდან აცილებაში. ამ შემთხვევაში წყალშემაკავებელი ფუნქცია აკისრიათ;

ე) საკვები ნივთიერებების (ბიოგენების) ბალანსი. ტორფნარები არა მარტო ჰიდროლოგიური რეჟიმის რეგულაციას ახდენენ, არამედ მოქმედებენ წყლის ხარისხზეც. მათ შესწევთ უნარი როგორც ზედაპირული, ისე გრუნტის წყლებიდან შეისრუტონ ჭარბი საკვები ნივთიერებები და დამაჭუჭყიანებლები, შეინახონ და მუდმივად განათავსონ ისინი ტორფის ფენებში. ეს ნივთიერებები გროვდება ტორფის დანალექ მზარდ ფენებში, არა მარტო ნახშირბადის, არამედ სხვა საკვები ნივთიერებების სახით, როგორცაა აზოტისა და ფოსფორის ნაერთები, მიკროელემენტები, ტყვია, მანგანუმი, მარგანეცი და სხვა. ამ ბუნებრივი თვისებების გამო ტორფნარები არამარტო არეგულირებენ საკვები ნივთიერებების ბალანსს, არამედ უზრუნველყოფენ წყლის ხარისხის სისუფთავს. ამით ისინი შესანიშნავ ფილტრატორებს წარმოადგენენ. ამიტომ მას „ლანდშაფტის თირკმლებს“ უწოდებენ. დამაბინძურებლებს იტოვებენ ტორფის ფენებში და სუფთა წყალი ჩაედინება ზღვაში, ტბებში და მდინარეებში.

3. ჰაბიტატის სერვისები. ველური სახით შემორჩენილი ისპანის ტორფნარები აყალიბებენ განსაკუთრებულ სერვისებს, რომელიც გულისხმობს პერკოლაციური ტიპის სფაგნუმის ტორფნარების მოვლას, დაცვას და შენარჩუნებას, რაც თავის მხრივ განაპირობებს აქ გავრცელებული სფაგნუმის სახეობების და გლობალური სტატუსის მქონე მცენარეების კონსერვაციას. კვლევებმა აჩვენა, თუ როგორი უარყოფითი ზეგავლენა იქონია მე-20 საუკუნეში „ისპანი 2“-ის ჩრდილოეთით ფართობებზე განვითარებულმა ინტენსიურმა სოფლის მეურნეობამ ნაკრძალზე და მის შემადგენელ მცენარეულ საფარზე. გაიზარდა ნუტრიენტებით დატვირთვა. ადგილი აქვს სფაგნუმის იშვიათი სახეობის – *Sphagnum austinii* მნიშვნელოვან შემცირებას და მის ჩანაცვლებას სფაგნუმის უფრო გავრცელებული სახეობებით.

4. კულტურული სერვისები. ქობულეთის დაცული ტერიტორიების კულტურულ სერვისებს წარმოადგენს არამატერიალური ღირებულებები, ეკოტურიზმი, ეკოგანათლება, სამეცნიერო ტურიზმი და სხვა.

თავი III

გრძელვადიანი მიზნები

მუხლი 23. პერკოლაციური ტიპის ტორფნარისა და მიმდებარე ჭარბტენიანი ჰაბიტატებისათვის დამახასიათებელი ეკოსისტემური სერვისების შენარჩუნებასთან დაკავშირებული მიზნები

- ა) ქობულეთის დაცული ტერიტორიები – ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალი და ქობულეთის აღკვეთილი ბუნებრივად, ადამიანის უმნიშვნელო ჩარევით ვითარდება;
- ბ) წლების წინ დარღვეული ჰიდროლოგიური რეჟიმი და დეგრადირებული ჰაბიტატები – ტყე და ტორფნარი აღდგენილია და მიახლოებულია მათ ბუნებრივ მდგომარეობასთან;
- გ) შენარჩუნებული და მკაცრად დაცული ქობულეთის ჭარბტენიანი ჰაბიტატებისათვის დამახასიათებელი ყველა ეკოსისტემური სერვისი (იხ. მუხლი ეკოსისტემური სერვისები).

მუხლი 24. ჰაბიტატების, ფლორისა და ფაუნის ბიომრავალფეროვნების დაცვასა და შენარჩუნებასთან დაკავშირებული მიზნები

- ა) ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალის UNESCO-ს მსოფლიო ბუნებრივი მემკვიდრეობის უბანია;
- ბ) სფაგნუმის ტორფნარები და რელიქტური ტყეები ფლორისა და ფაუნის გლობალური სტატუსის მქონე, კავკასიის და საქართველოს წითელი ნუსხის სახეობებით მკაცრად არის დაცული და შენარჩუნებული;
- გ) ქობულეთის დაცული ტერიტორიები კოლხეთის ეროვნულ პარკთან ერთად ქმნის რამსარის კონვენციით დაცული ტერიტორიების ერთიან ქსელს.

მუხლი 25. სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან დაკავშირებული მიზნები

- ა) ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალი და ქობულეთის აღკვეთილი ქობულეთის ეკონომიკის შემადგენელი ნაწილია;
- ბ) ადგილობრივი მოსახლეობა აცნობიერებს დაცული ტერიტორიების ჭარბტენიან ჰაბიტატებთან დაკავშირებულ ყველა ეკოსისტემურ სერვისს;
- გ) განვითარებულია დატბორვასთან ადაპტირებული სოფლის მეურნეობა და მიმდინარეობს კომბინირებული – კონსერვაციული, სოციალური და ეკონომიკური პროექტები.

მუხლი 26. ეკოგანათლებასა და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებული მიზნები

- ა) ქობულეთის დაცული ტერიტორიები დღევანდელი და მომავალი თაობებისათვის მნიშვნელოვან ეკოსაგანმანათლებლო კერას წარმოადგენს;
- ბ) მჭიდრო თანამშრომლობაა დამყარებულია განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ეროვნულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;
- გ) ადგილობრივი მოსახლეობა აცნობიერებს დაცული ტერიტორიების მნიშვნელობას, გაზრდილია პასუხისმგებლობა და შეცვლილია დამოკიდებულება, თავად ზრუნავს ბიომრავალფეროვნების დაცვა-შენარჩუნებაზე.

მუხლი 27. მეცნიერებასა და განათლებასთან დაკავშირებული მიზნები

- ა) მჭიდრო თანამშრომლობაა დამყარებული ეროვნულ და საერთაშორისო სამეცნიერო დაწესებულებებთან და უმაღლეს სასწავლებლებთან;
- ბ) როგორც სამეცნიერო კვლევების უშრეტი წყარო – „ისპანის“ ტორფნარები, კვლავ რჩება ქართველი და უცხოელი მეცნიერების სხვადასხვა მიმართულებით კვლევის ობიექტი;
- გ) შექმნილია ბიომრავალფეროვნების და სამეცნიერო კვლევების მონაცემთა ბაზა.
- დ) საკვანძო და ქოლგა სახეობებზე მონიტორინგი თანამედროვე მეთოდებით უწყვეტად მიმდინარეობს.

მუხლი 28. ეკოტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებული მიზნები

- ა) ქობულეთის დაცულ ტერიტორიებზე შექმნილია მაღალი სტანდარტების სავლე ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა;
- ბ) ვიზიტორებისთვის უზრუნველყოფილია სუფთა და უსაფრთხო გარემო;
- გ) წარმატებით ვითარდება ბუნების დაცვაზე ორიენტირებული მდგრადი ტურიზმი;
- დ) დაცული ტერიტორია ქმნის შემოსავლის ალტერნატიულ წყაროს, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ასევე დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციისთვის.
- ე) მჭიდრო თანამშრომლობაა დამყარებული ტურიზმის სექტორში ჩართულ ორგანიზაციებთან.

მუხლი 29. ქობულეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის განვითარებასთან დაკავშირებული მიზნები

- ა) ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია კვალიფიციური პერსონალით, ფინანსური და ტექნიკური რესურსით, რაც საშუალებას იძლევა ქობულეთის დაცული ტერიტორიების ეფექტური მართვისთვის;
- ბ) ტერიტორიულ ადმინისტრაციასა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიას შორის მიღწეულია მჭიდრო თანამშრომლობა, რაც ხელს უწყობს დაცული ტერიტორიების თანამმართველობაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას, ეფექტურ მმართველობას და მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობისა და დაცული ტერიტორიების ჰარმონიულ თანაარსებობას.

თავი IV

სიტუაციური ანალიზი

მუხლი 30. ბუნებრივი რესურსების დაცვა

გამომდინარე იქედან, რომ დაცულ ტერიტორიაზე ტყით დაფარული ფართობი ცოტაა, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობაც, შესაბამისად, უმნიშვნელო და მცირედ საზიანოა მოსახლეობის მხრიდან. დაცული ტერიტორიები უფრო მეტ და პირდაპირ ზემოქმედებას განიცდიან მომიჯნავე ტერიტორიაზე მიმდინარე პროექტებიდან.

ა) „ისპანი 2“ ტორფნარის ჩრდილო, ჩრდილო-დასავლეთ და აღმოსავლეთ მოსაზღვრე ტერიტორიაზე ტყის გაჩეხვისა და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შედეგად დეგრადაცია და მოდიფიკაცია განიცადა ტორფნარმა და ჩამოყალიბდა მეორადი მდელოები. მდელოებზე გაბატონებულია ინვაზიური სახეობები. განსაკუთრებული მონოპოლია შექმნეს აღმოსავლეთ-აზიურმა ინვაზიურმა სახეობებმა – თუმბერგის მატიტელამ, ამბროზიამ და ევლალიამ;

ბ) შეცვლილი ჭარბტენიანი გარემოს გამო ჰართვისის მუხის ბუნებრივი განახლება აღარ მიმდინარეობს;

გ) კოკისპირული წვიმებისას ხშირი მოვლენაა სფაგნუმის ტორფნარების მიმდებარე ქობულეთის აღკვეთილის დასავლეთი ტერიტორიების დატბორვა, რომელსაც თან ახლავს ე.წ. „სმეკალოვკის“ არხის მიმდებარე ადგილობრივი მოსახლეობის ეზოსა და კარმიდამოს დატბორვაც. იტბორება ასევე ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალის აღმოსავლეთით დაბა ოჩხამურის სავარგულები. წყალმოვარდნებისა და დატბორვის მიზეზს ფერდობებზე და სფაგნუმის ტორფნარების მიმდებარე გაჩეხილი ტყეები და საბჭოთა პერიოდში გაყვანილი სადრენაჟე არხები წარმოადგენს. ბოლო 5 წლის მონაცემების მიხედვით ძლიერი დატბორვა დაფიქსირდა: 2011 წელს – გაზაფხულზე (აპრილი) და შემოდგომით (სექტემბერი – ოქტომბერი), ასევე დეკემბრის თვეში; 2012 წელს მხოლოდ გაზაფხულზე (თებერვალი და მარტი); 2013 წელს კი გაზაფხულსა (თებერვალი, მარტი, აპრილი), ზაფხულსა (ივლისი, აგვისტო) და შემოდგომით (სექტემბერი და ოქტომბერი); 2014 წელს ზაფხულსა (ივნისი) და შემოდგომით (სექტემბერი და ნოემბერი); 2015 წელს გაზაფხულსა (აპრილი), ზაფხულსა (აგვისტო), შემოდგომასა (ოქტომბერი) და ზამთარში (დეკემბერი); 2016 წელს ძლიერი დატბორვა არ დაფიქსირებულა, 2017 წელს კი ტერიტორიები შემოდგომით, სექტემბერ-ოქტომბერში დაიტბორა;

დ) აღკვეთილის შესასვლელში საყოფაცხოვრებო ნარჩენებითა და კანალიზაციით დაბინძურებული „სმეკალოვკის არხი“ საფრთხეს უქმნის ბიომრავალფეროვნებას;

- ე) საფრთხეს წარმოადგენს მდინარე ტოგონაში (რომელიც ნაკრძალის ბუნებრივ საზღვარს წარმოადგენს) ჩამდინარე დაბა ოჩხამურის საერთო საცხოვრებლების კანალიზაცია;
- ვ) საქონლის მუდმივი და დაურეგულირებელი მოვება ასევე საფრთხეს უქმნის ბიომრავალფეროვნებას;
- ზ) იშვიათად ადგილი აქვს უკანონო ნადირობასა და ხე-ტყის ჭრას;
- თ) ზამთარსა და ადრე გაზაფხულზე ხშირი მოვლენაა ხანძრები სფაგნუმიან ტორფნარზე. ხანძრის გამომწვევი ძირითადი მიზეზი მოსახლეობის დაუდევრობაა;
- ი) საკონსერვო ქარხნიდან „სმეკალოვკის არხში“ ჩამავალი ციტრუსების ნარჩენები უარყოფით ზეგავლენას ახდენს დაცული ტერიტორიების ბიომრავალფეროვნებაზე, განსაკუთრებით კი წყლის ბინადარ ცხოველებზე;
- კ) „ისპანი 2“-ის პირველადი დაზიანება აიხსნება მისი სიმცირით, ის პატარაა, რის გამოც ძნელია მისი დაცვა მიმდებარე ტერიტორიების ზემოქმედებისაგან, რაც ქმნის კონფლიქტურ სიტუაციებს დაცულ ტერიტორიასა და მოსახლეობას შორის. მოსახლეობას, რომელსაც არა აქვს გაცნობიერებული ეკოსისტემური სერვისი, სურს გამოიყენოს ასათვისებელი ტერიტორიები. ეს ეხება დაბა ოჩხამურის მოსახლეობას. ოჩხამურის ტერიტორიების ზოგიერთი ადგილი ზღვის დონიდან 0.7 მ-ით დაბლა მდებარეობს, სწორედ ესაა მიზეზი ამ ამ ტერიტორიების პერიოდული დატბორვისა.
- ლ) არ არსებობს დაცული ტერიტორიების მიმდებარედ დაგეგმილ და მიმდინარე პროცესებზე ადმინისტრაციის მხრიდან კონტროლის მექანიზმი. სწორედ ამის გამო, მიუხედავად ქობულეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის საუკეთესო მენეჯმენტისა, სახელმწიფო ნაკრძალის მიმდებარედ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიზნით სადრენაჟე არხის დაღრმავება / გაფართოებამ დიდი ზიანი მიაყენა ნაკრძალს. ნაკრძალის ჩრდილოეთით პირდაპირ საზღვარზეა სასოფლო-სამეურნეო სადრენაჟე სისტემა, აღმოსავლეთი ნაწილი კი დასერილია ძველი სადრენაჟე არხებით. აღნიშნული სადრენაჟე სისტემებით წყალი ნაკრძალთან მდებარე მცირე სადრენაჟე არხში კონცენტრირდება. მდინარის დაღრმავებას თავისთავად მაშინვე მოყვა არხში ეროზია, რომელმაც ნაკრძალში რამდენიმე ადგილას „გუმბათის გარღვევა“ გამოიწვია. გუმბათის ამ გარღვევამ თავად გამოიწვია ეროზიული პროცესები და გუმბათში არსებული უმომრავო წვიმის წყალი უკვე დიდი ფართობიდან (შესაძლოა გაცილებით მეტი, ვიდრე 100 მ) გამოედინება. ნაკრძალის გაუხრწნელი და ელასტიკური ტორფი გახდა არასტაბილური და არამდგრადი, რის შედეგადაც იგი გამოედინება სადრენაჟე არხში და შემდეგ მდ. ტოგონაში.
- მ) ტორფნარში ტორფის გახრწნის პროცესი ძალიან დაბალია ტორფის ღრმა ფენებშიც კი. შედარებით მატულობს ტორფნარის განაპირას. წყლის დონის მერყეობა მცირდება ტორფნარის ნაპირიდან ცენტრისკენ. უფრო მეტიც, ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი თვისება „ისპანი 2“ ტორფნარისა მისი მაღალი რხევის უნარია (*Mooratmung*), რაც წყლის მუდმივი დონის შენარჩუნებას განაპირობებს. სწორედ ამ წყლის მუდმივ დონესაა შეგუებული ისპანის მცენარეულობა. წყლის დონის მერყეობა სხვა მცენარეულობის და შესაბამისად, სხვა ტიპის ტორფნარის ჩამოყალიბებას გამოიწვევს. ტორფი გახრწნის სხვა თვისებებით შეიძლება ხასიათდებოდეს, სხვა სახის ფორიანობა იქნება, ტორფის დაგროვების სხვა უნარი, რომელიც პირდაპირ ზემოქმედებას მოახდენს ჰიდროლოგიაზე და სულ სხვა სახის და არა უნიკალური ტიპის ტორფნარის ჩამოყალიბებას გამოიწვევს.

მუხლი 31. ეკოტურიზმი

1. დღეისათვის ქობულეთის დაცული ტერიტორიები არ წარმოადგენს რეგიონში ჩამოსული ტურისტების ან ქართველი მოგზაურებისთვის დანიშნულების პოპულარულ ადგილს. ამის ძირითადი მიზეზია არასაკმარისი ინფრასტრუქტურა და სერვისები, ასევე დაცული

ტერიტორიის ცნობადობის სიმცირე. დაცული ტერიტორიის შესახებ ინფორმაციის და რუკის მიღება ძირითადად შესაძლებელია დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციაში და აჭარის ტურისტულ საინფორმაციო ცენტრებში. ქობულეთის დაცულ ტერიტორიაზე 2006 წელს მოეწყო მცირე სავლე ინფრასტრუქტურა და ამავე წელს დაიწყო დაცულმა ტერიტორიამ ვიზიტორებისთვის ტურისტული მომსახურების შეთავაზება. ტურისტული სეზონი მაისიდან – ოქტომბრამდე პერიოდს ემთხვევა. ძირითადად ადმინისტრაცია ახორციელებს საფეხმავლო სამეცნიერო-კულტურულ ტურებს. ამჟამად ადმინისტრაცია ტურისტებს სთავაზობს ღამისთევას (4 სასტუმრო ნომერი, რომელიც ადმინისტრაციის შენობაშია განლაგებული), სფაგუმის ხალიჩაზე სასიარულო თხილამურებს (20 ცალი), ჭოგრიტებს (5 ცალი) და აქვთ ტელესკოპიც, რომლის ტურისტებზე სერვისად შეთავაზება მომავალში იგეგმება. დაცული ტერიტორიის ადმინისტრაცია 2006 წლიდან ახორციელებს ვიზიტორთა და შემოსავლების სტატისტიკის კვლევას. 2006-2016 წლების მონაცემებზე დაყრდნობით ქობულეთის დაცული ტერიტორიის ვიზიტორთა 80% ქართველია. ადმინისტრაციის შემოსავლების მთლიანი წილი შემოდიოდა სასტუმრო ნომრების გაქირავებით. ვიზიტორთა სტატისტიკა ასე გამოიყურება: 2015 წელს დაცულ ტერიტორიებს ესტუმრა 8737 ვიზიტორი, 2016 წელს 9175 და 2017 წელს მიუხედავად იმისა, რომ ტურისტული ინფრასტრუქტურა სრულიად ამორტიზებულია დაცული ტერიტორია 11286-მა ვიზიტორმა მონახულა. ვიზიტორებისაგან შემოსავლების სტატისტიკა ასე გამოიყურება; 2015 წელს – 2399 ლარი, 2016 წელს – 1705 ლარი, 2017 წელს კი – 215 ლარი. ქობულეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის თანამშრომლების მიერ ყოველწლიურად ხორციელდება დაცული ტერიტორიების შესახებ საინფორმაციო მასალების გავრცელება სხვადასხვა ორგანიზაციებში, ტურისტულ სააგენტოებში, საინფორმაციო ცენტრებში და აჭარის რეგიონის სასტუმროებში. ტარდება ღონისძიებები ეკოლოგიური კალენდრის მიხედვით, რაც ასევე ხელს უწყობს დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციას. ადმინისტრაცია ინფორმაციის გავრცელებას ახორციელებს სოციალური მედიის საშუალებითაც. დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია ყოველწლიურად აწარმოებს ვიზიტორთა გამოკითხვას და კმაყოფილების დონის შესწავლას სპეციალურად შედგენილი კითხვარების საშუალებით. გამოკითხვის შედეგად, ვიზიტორების მხრიდან სახელდება 4 მოთხოვნა, რომლის გამოსწორებასაც ისურვებდნენ, ესენია: სავლე ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, მანიშნებელი დაფების დამონტაჟება ქალაქის ტერიტორიაზე, საპირფარეოს მოწყობა, რეზინის ბოტებისა და საწვიმარი ლაბადების სერვისის მიღების შესაძლებლობა. სამეცნიერო ტურიზმის ხელშეწყობის მიზნით ჩატარდა კონფერენციები და შეხვედრები: 2007 წელს – საერთაშორისო სავლე სიმპოზიუმი სტუდენტებისათვის; 2009 წელს – ტორფნარების კონსერვაციის საერთაშორისო ჯგუფის სავლე სიმპოზიუმი, სამეცნიერო კონგრესი და გენერალური ასამბლეა; 2010 წელს ქობულეთის დაცული ტერიტორიები მასპინძლობდა რამსარის აღმასრულებელი კომიტეტის შეხვედრას. დაცული ტერიტორია აქტიურად თანამშრომლობს აჭარის ა.რ. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტთან და აჭარის რეგიონში არსებულ ტურისტულ საინფორმაციო ცენტრებთან. ქობულეთის დაცული ტერიტორია შეყვანილია აჭარის რეგიონის ტურისტული მარშრუტების სიაში, ძირითად ტურისტულ გზამკვლევებში და რუკებში. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ა(ა)იპ – ტურისტული პროდუქტების განვითარების სააგენტოს მიერ 2017 წელს დამონტაჟდა ქობულეთის დაცული ტერიტორიების ტურისტული მანიშნებლები ქალაქში. კოლხეთის დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდის დაფინანსებით 2017 წელს გაიხსნა ახალი ვიზიტორთა ცენტრი ქობულეთში, რომელშიც განთავსებულია ქობულეთის დაცული ტერიტორიების – ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალისა და ქობულეთის ადკვეთილის და კინტრიშის ნაკრძალის ადმინისტრაციები. შენობაში არის საგამოფენო დარბაზი, მუზეუმი, კაფეტერია (I

სართულზე), ადმინისტრაციის თანამშრომელთა ოთახები (მეორე სართულზე) და სასტუმრო ნომრები (მესამე სართულზე).

2. ტურიზმსა და ვიზიტორთა მომსახურებასთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზი და შესაძლებლობები:

ა) ტურისტული ინფრასტრუქტურის სიმცირე – დღეისათვის „ისპანზე“ არსებული ტურისტული ინფრასტრუქტურა ამორტიზებულია, თანაც მარშრუტი შედგენილია ისე, რომ ვიზიტორებს უწევთ მკაცრი დაცვის ზონაში შესვლა, რაც უარყოფითად მოქმედებს უნიკალურ ჰიდროლოგიურ რეჟიმზე. ვიზიტორები სიარულისას იწვევენ ხელოვნურ დრენაჟს, რასაც ჰიდროლოგიური რეჟიმის რღვევა მოჰყვება. ზიანდება სფაგნუმიც და ხელსაყრელი პირობები იქმნება ინვაზიური სახეობების შეღწევისათვის. ამიტომაც, აუცილებელია ახალი ტურისტული ბილიკის შექმნა და მარკირება ისე, რომ ბილიკი არ გადიოდეს და ვიზიტორი ვერ აღწევდეს მკაცრი დაცვის ზონაში. ნაკრძალში შესვლა უნდა დაიშვებოდეს მხოლოდ სამეცნიერო-საგანმანათლებლო მიზნების განხორციელებისათვის;

ბ) კადრების სიმცირე და უცხოენოვანი გიდების არარსებობა. დაცული ტერიტორიის ადმინისტრაციული განყოფილება პასუხისმგებელია ვიზიტორთა სერვისების განვითარებასა და მართვაზე. აღნიშნულ განყოფილებაში მხოლოდ ერთი სპეციალისტია, რომელიც პასუხისმგებელია, როგორც ვიზიტორთა ცენტრის მართვაზე, ასევე ტურისტული პროგრამების შემუშავება/შეთავაზება /განხორციელებაზე. დაცულ ტერიტორიას არ გააჩნია გიდების შეთავაზების სერვისი. ქართულენოვანი რეინჯერები პარალელურად ითავსებენ გიდის ფუნქციებს. საჭიროა უცხოენოვანი ადგილობრივი გიდების გადამზადება ქობულეთის დაცულ ტერიტორიაზე ვიზიტორთა კმაყოფილების დონის და მომსახურების სერვისის ასამაღლებლად. დამატებით შესაძლებელია სეზონური გიდების აყვანა;

გ) არასაკმარისი საინფორმაციო მასალა და რეკლამირება. საინფორმაციო მასალა საჭიროებს განახლებას. სასურველია მომზადდეს დეტალური გზამკვლევები, მარშრუტის რუკით და მოხდეს მისი გავრცელება ტურისტულ ობიექტებზე;

დ) ქობულეთის ნაკრძალისა და ქობულეთის აღკვეთილის სერვისების რეკლამირების გეგმის შემუშავება. საჭიროა აქტიური თანამშრომლობა საქართველოში არსებულ დიდ ტურისტულ სააგენტოებთან და ტურ ოპერატორებთან, მათთვის წინადადებების დამუშავება და შესაბამისი მარკეტინგული ღონისძიებების გატარება ქობულეთის დაცული ტერიტორიების ტურისტულ შეთავაზებებში ერთ-ერთ მიმართულებად შესატანად.

ე) ღონისძიებების და აქტივობების სიმცირე დაცულ ტერიტორიაზე. დაცულ ტერიტორიებზე არ ტარდება ღონისძიებები. საჭიროა მომზადდეს ქობულეთის დაცულ ტერიტორიაზე რამდენიმე ყოველწლიური ღონისძიების ორგანიზების იდეა. ეს შესაძლებელია იყოს მაგალითად, ფოტოკონკურსი ფოტოგადაღების მოყვარულთათვის, ეკოტურიზმის თემატიკის სამუშაო შეხვედრები, სემინარები და სხვა. საინტერესო ღონისძიებები და ფესტივალები დაეხმარება დაცულ ტერიტორიას ცნობადობის გაზრდაში;

ვ) ადგილობრივი მოსახლეობის ნაკლები ჩართულობა და ინტერესი დაცული ტერიტორიების საქმიანობაში. ქობულეთის დაცული ტერიტორია მდებარეობს ქალაქის ცენტრში, მოსახლეობა დაცულ ტერიტორიებთან ახლოს ცხოვრობს, მაგრამ არ არის ჩართული ტურისტული საქმიანობაში, არ სთავაზობენ ვიზიტორებს სერვისებს ან პროდუქტს.

მუხლი 32. სამეცნიერო კვლევა და მონიტორინგი

ქობულეთის დაცული ტერიტორიები საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე კარგად გამოკვლეულ და შესწავლილ დაცულ ტერიტორიას წარმოადგენს. ქობულეთის დაცული ტერიტორიების-ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალისა და ქობულეთის აღკვეთილის

ადმინისტრაცია მუდმივად თანამშრომლობს როგორც ეროვნულ (ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ილიას უნივერსიტეტი, ჯავახიშვილის უნივერსიტეტი), ისე საზღვარგარეთის სამეცნიერო დაწესებულებებთან (გერმანიის გრეიფსვალდის უნივერსიტეტი, მსოფლიო ტორფნარების გრეიფსვალდის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, ტორფნარების კონსერვაციის საერთაშორისო ჯგუფი). დაცული ტერიტორიის დაარსებიდანვე მნიშვნელოვანი სამეცნიერო, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო შრომა შესრულდა. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვან სამეცნიერო შრომებს წარმოადგენს: „ისპანი 2 – ის მცენარეულობა, სტრატეგრაფია, ჰიდროლოგია“; „კოლხეთის დაბლობის ცოცხალი სფაგნუმის ტორფნარების მცენარეული საფარის შესწავლა“; „სფაგნუმი, როგორც განახლებადი რესურსი – სფაგნუმის მოშენების პერსპექტივები კოლხეთში“; „კოლხეთის რელიქტური კოლხური ტყეების მცენარეულობა, ჰაბიტატების აღდგენის შესაძლებლობები“; „კოლხეთის, როგორც დაბლობის, ისე მაღალმთის ტორფნარების ტორფიანი პელოიდების კვლევა“; „კოლხეთის დაბლობის სფაგნუმის სახეობების სისტემატიკა, მორფოლოგია, ეკოლოგიური მახასიათებლები და მედიცინაში გამოყენების პერსპექტივები“. დაცულ ტერიტორიებზე 2014 წლიდან მუდმივად მიმდინარეობს მონიტორინგი ინვაზიურ სახეობებზე (ევალდია, ამბროზია და თუნბერგის მატიტელა). დაცული ტერიტორიების რეინჯერები მუდმივად აღრიცხავენ და აკონტროლებენ: ა) დაცული ტერიტორიების ჰიდროლოგიურ რეჟიმს; ბ) ადამიანსა და მტაცებელ ცხოველს შორის კონფლიქტის ფაქტებს;

ბუნებრივი რესურსების სპეციალისტი ანგარიშებს აგზავნის დაცული ტერიტორიების სააგენტოში იმ გარემკვლევარებისა და მეცნიერების შესახებ, რომლებიც კვლევებს აწარმოებენ დაცულ ტერიტორიებზე; გ) ბუნებრივი რესურსების სპეციალისტი რეინჯერებთან ერთად ყოველწლიურად ამზადებს და აგზავნის დაცული ტერიტორიების სააგენტოში ბეჭდურ გამოცემას – „ბუნების მატრიანს“.

მუხლი 33. ეკოგანათლება

დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში ეკოსაგანმანათლებლო საქმიანობის მართვაზე პასუხისმგებელია ბუნებრივი რესურსების მართვის სპეციალისტი. ქმედებები, რომლებიც უკავშირდება ეკოგანათლებასა და საზოგადოებასთან ურთიერთობას, თანხმდება და იმართება ცენტრალიზებულად – დაცული ტერიტორიების სააგენტოს უშუალო კონტროლის ქვეშ. დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიზანს წარმოადგენს სპეციალური ეკოსაგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება სხვადასხვა ასაკის მიზნობრივი ჯგუფისთვის. ეკოსაგანმანათლებლო პროგრამა მხარს უჭერს სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამებს გარემოს დაცვის შესახებ, ასევე მიზნობრივ და საინტერესო ინფორმაციის გავრცელებას ვიზიტორთა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის, ხაზს უსვამს ქობულეთის დაცული ტერიტორიების როლსა და მნიშვნელობას ბიომრავალფეროვნების დაცვის საქმიანობაში. ქობულეთის დაცული ტერიტორიების ეკოგანათლებასა და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებასთან დაკავშირებული ამჟამინდელი ქმედებები შემდეგია: ა) ქობულეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია ადგილობრივ სკოლებთან და სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ურთიერთთანამშრომლობის გზით უზრუნველყოფს ეკოსაგანმანათლებლო სერვისების მიწოდებას საზოგადოებაში გარემოსდაცვითი ცნობიერების გაზრდისა და ამაღლების მიზნით, ბ) ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბაღების გაერთიანებასთან გაფორმდა მემორანდუმი, გ) შემუშავდა პროგრამა სკოლამდელი აღზრდის ბავშვებისათვის, დ) ყოველწლიურად აქტიურად იმართება ღონისძიებები სკოლებთან,

ქობულეთის დაცული ტერიტორიების მიმდებარე არსებული სხვადასხვა სახის ეკოლოგიური პრობლემის საკითხებზე, როგორცაა დაბინძურება, ბრაკონიერობა და ა.შ.

ე) ადმინისტრაცია პერიოდულად ატარებს შეხვედრებს ადგილობრივ მოსახლეობასთან, ასევე სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან და აცნობს მათ დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის საქმიანობას, წესებს და რეგულაციებს; ვ) გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით დაცული ტერიტორიის ადმინისტრაცია ყოველწლიურად აწყობს ე. წ. „მწვანე კალენდრის“ ყველა გარემოსდაცვით ღონისძიებას; ზ) ადმინისტრაცია აქტიურადაა ჩართული ადგილობრივ სკოლებში გარემოსდაცვითი ცნობიერების ჩამოყალიბების პროცესში, მასპინძლობს სტუდენტურ ჯგუფებს; თ) ქობულეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მიერ განხორციელებულ ეკოსაგანმანათლებლო ღონისძიებებში მონაწილე სკოლის მოსწავლეთა, პედაგოგთა და სტუდენტთა რაოდენობის სტატისტიკა წლების მიხედვით ასე გამოიყურება: 2014 წელს 5998 ადამიანი მონაწილეობდა, 2015 წელს 6110, 2016 წელს 6132, ხოლო 2017 წელის 4904-მა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა, მათ შორის 210 სტუდენტმა, 420 ადგილობრივმა მოსახლემ და 630 მასწავლებელმა. შეინიშნება ყოველწლიური ზრდის ტენდენცია; ი) ქობულეთის დაცული ტერიტორიების მიმდებარე სკოლებში 2017 წელს ჩატარდა 56 ლექცია-სემინარი და პრეზენტაცია, 5 მწვანე აქცია, 32 ეკო-ტური, 18 დასუფთავების აქცია; და კ) წლების განმავლობაში გაიზარდა მოსახლეობის ინფორმირებულობა ქობულეთის დაცული ტერიტორიების მსოფლიო უნიკალურობისა და რამსარის კონვენციით დაცული ტერიტორიის შესახებ.

მუხლი 34 . საზოგადოებასთან ურთიერთობა

საზოგადოებასთან ურთიერთობა წარმოადგენს მნიშვნელოვან მიმართულებას ქობულეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციისთვის. იგი ხელს უწყობს დაცული ტერიტორიის დადებითი იმიჯის ჩამოყალიბებას, ზრდის საზოგადოების ინფორმირებულობას და ცნობიერებას ქობულეთის დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებით, რაც განაპირობებს საზოგადოების ჩართულობას დაცული ტერიტორიების განვითარებაში და ზრდის ადმინისტრაციის მენეჯმენტის ეფექტურობას. საზოგადოებასთან ურთიერთობას ახორციელებს დაცული ტერიტორიების სააგენტოს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ქობულეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის ჩართულობით;

საზოგადოებასთან ურთიერთობა ხორციელდება შემდეგი რესურსებით: საინფორმაციო მასალებით, დაცული ტერიტორიების ვებ გვერდის www.apa.gov.ge, სოციალური ქსელის Facebook-ის, Instagram-ის, Twitter-ის და ასევე youtube-ის მეშვეობით. ადმინისტრაციის მიერ ხორციელდება ადგილობრივ მოსახლეობასთან მჭიდრო თანამშრომლობა და მუდმივი კონტაქტი. ცენტრალურ მედია საშუალებებთან თანამშრომლობს დაცული ტერიტორიების სააგენტო. ძირითად მიზნობრივ ჯგუფებს წარმოადგენს მასმედია, ტურ ოპერატორები, ახალგაზრდები (სტუდენტების, მოსწავლეები), 25-60 წლამდე საშუალო სოციალური ფენის წარმომადგენლები, ადგილობრივი მოსახლეობა.

მუხლი 35. სოციალ-ეკონომიკური ასპექტები

1. დაცული ტერიტორიის მიმდებარე მოსახლეობისთვის სარგებლის და სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების გამოვლენის მიზნით ჩატარდა რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევა 2016 წლის ივლისში სოფ. ოჩხამურში და ფიჭვნარის დასახლებაში.

2. ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალისა და ადკვეთილის მიმდებარე ურბანიზებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად აუცილებელია შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

ა) ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე არსებული სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემების გაწმენდითი სამუშაოების ჩატარება საჭიროების შემთხვევაში ან ახალი, შემოვლითი გაყვანილობის შექმნა ნაკრძალის ტერიტორიებს გარეთ;

ბ) სასურველია ეკოტურიზმის განვითარება და მასში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართვა/დასაქმება, ვინაიდან გაიზრდება მოტივაციის დონე და ამალდება ცნობიერება;

გ) გაზიფიცირება იმ დასახლებისა, სადაც მოსახლეობას არ აქვს ბუნებრივი აირი.

მუხლი 36. ადმინისტრაციის მდგომარეობა

1. ქობულეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია წარმოდგენილია: 7 საშტატო ერთეულით და 3 შტატგარეშე მოსამსახურით: დირექტორი, დაცვის განყოფილების უფროსი, ერთი ბუღალტერი, ორი რეინჯერი, ერთი ბუნებრივი რესურსების უფროსი სპეციალისტი, ერთი ვიზიტორთა მომსახურების უფროსი სპეციალისტი, ერთი დამლაგებელი (შტატგარეშე), ერთი დარაჯი (შტატგარეშე) და ერთი სამეურნეო ტექნიკოსი (შტატგარეშე).

2. ადმინისტრაციის ძირითადი ბიუჯეტი ფინანსდება სახელმწიფოს მიერ და შესაბამისად მდგრად ფინანსირებას წარმოადგენს. მატერიალურ-ტექნიკური დაფინანსება „კოლხეთის დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდის“ მიერ ხდება.

3. 2005 წელს მსოფლიო ბანკის მხარდაჭერითა და სანაპირო ზონის ინტეგრირებული მართვის ცენტრის დაფინანსებით აშენდა ადმინისტრაციული შენობა (მიშენებული იქნა ქობულეთის სატყეოს შენობაზე);

4. 2017 წელს კოლხეთის დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდის დაფინანსებით:

ა) აშენდა ქობულეთის დაცული ტერიტორიების ქობულეთის და კინტრიშის დაცული ტერიტორიების ახალი ადმინისტრაციის შენობა;

ბ) კოლხეთის დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდის მიერ შეძენილია ორი მანქანა: პიკაპის მარკის “Mitsubishi” და renauld Duster, ორი ერთეული ველოსიპედი, 1 პროექტორი, 1 ტელესკოპი, ფოტოაპარატები;

გ) 2017 წლის 12 თვეში ჩატარებულია სულ 181 საავტომობილო პატრულირება დაცული ტერიტორიის I და II საავტომობილო მარშუტებზე, გარბენილმა მანძილმა შეადგინა 5392 კმ.

5. ქობულეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობს მრავალ ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციასთან.

თავი V ზონირება

მუხლი 37. ქობულეთის დაცული ტერიტორიების ფართობები, საზღვრები და დაშვებული საქმიანობები

1. გარემოსდაცვითი ძირითადი მიზნების, რესურსებით სარგებლობის და დაცული ტერიტორიების საერთაშორისო კატეგორიების გათვალისწინებით, ქობულეთის დაცული ტერიტორიები წარმოდგენილია ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალისა და ქობულეთის ადკვეთილის სახით. ქობულეთის დაცული ტერიტორიების ფართობები განსაზღვრულია „კოლხეთის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით.

2. ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალი წარმოადგენს უმნიშვნელოდ სახეცვლილ უნიკალურ ეკოსისტემას, რომელიც განსაკუთრებული ღირებულების მქონე ობიექტია, მეცნიერული

კვლევის თვალსაზრისით. ნაკრძალი წარმოდგენილია მსოფლიო უნიკალური პერკოლაციური ომბროტროფული ტიპის ცოცხალი სფაგნუმიანი ტორფნარით, რომლის სახელწოდებაა „ისპანი 2“ და შემოგარენი რელიქტური კოლხური ტყის ფრაგმენტით.

3. ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალში დაშვებულია მხოლოდ:

ა) არამანიპულაციური სამეცნიერო კვლევა;

ბ) საგანმანათლებლო საქმიანობა;

გ) სტიქიური უბედურების, კატასტროფისა და საგანგებო მდგომარეობის დროს სამსახურებრივი მოვალეობების განხორციელების მიზნით, ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალის ადმინისტრაციის პერსონალის ავტო-მოტო- და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებით შეზღუდული გადაადგილება;

დ) მონიტორინგის სამუშაოების წარმოება;

ე) სახელმწიფო ნაკრძალის კანონმდებლობით განსაზღვრული დაცვის რეჟიმის განხორციელებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება (სახელმწიფო ნაკრძალის ფიზიკური დაცვა);

ვ) უმოტორო ტრანსპორტით გადაადგილება.

4. ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე არ ხდება სხვადასხვა ტერიტორიულ-ფუნქციონალური ზონების მოწყობა და, შესაბამისად, მთელ მის ტერიტორიაზე ვრცელდება სახელმწიფო ნაკრძალის კანონმდებლობით განსაზღვრული დაცვის ერთიანი რეჟიმი.

5. „დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ქობულეთის აღკვეთილი იქმნება ეროვნული მნიშვნელობის მქონე ცოცხალი ორგანიზმების ველური სახეობების, სახეობათა ჯგუფების, ბიოცენოზების და არაორგანული ბუნების წარმონაქმნების შესანარჩუნებლად საჭირო ბუნებრივი პირობების დაცვის მიზნით.

6. ქობულეთის აღკვეთილში დაშვებულია მხოლოდ:

ა) არამანიპულაციური და მანიპულაციური სამეცნიერო კვლევა;

ბ) საგანმანათლებლო საქმიანობა;

გ) აღდგენითი ღონისძიებების განხორციელება;

დ) სტიქიური უბედურების, კატასტროფის, საგანგებო მდგომარეობისა და აღდგენითი სამუშაოების დროს სამსახურებრივი მოვალეობების განხორციელების მიზნით, ავტო-მოტო- და საჰაერო სატრანსპორტო საშუალებებით შეზღუდული გადაადგილება;

ე) მონიტორინგის სამუშაოების წარმოება;

ვ) ქობულეთის აღკვეთილის კანონმდებლობით განსაზღვრული დაცვის რეჟიმის განხორციელებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება (ქობულეთის აღკვეთილის ფიზიკური დაცვა);

ზ) უმოტორო ტრანსპორტით გადაადგილება;

თ) მკაცრი კონტროლის პირობებში ცალკეული განახლებადი რესურსის მოხმარება.

თავი VI

მენეჯმენტის გეგმის პროგრამები

მუხლი 38. მენეჯმენტის გეგმის განხორციელების პასუხისმგებლობა

1. დაცული ტერიტორიების სააგენტოს ცენტრალური აპარატი და ქობულეთის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაცია პასუხისმგებელნი არიან მენეჯმენტის გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებებისა და ქმედებების ორგანიზაციაზე, მათი განხორციელების მონიტორინგსა და დასახული მიზნების მიღწევაზე.

2. დაცული ტერიტორიების სააგენტო უზრუნველყოფს მენეჯმენტის გეგმის გარკვეული ღონისძიებების განხორციელების პროცესში სხვა ორგანიზაციებისა და ექსპერტების ჩართულობას ან მათთან თანამშრომლობას.

3. მენეჯმენტის გეგმის განხორციელება საოპერაციო გეგმის საშუალებით ხდება. საოპერაციო გეგმა შემუშავებული იქნება სამწლიანი პერიოდისათვის, განახლება ყოველწლიურად და მოიცავს დეტალურ განსახორციელებელ ქმედებებს ყოველი ცალკეული წლის ქმედებებიდან გამომდინარე შემუშავებული ბიუჯეტის ჩათვლით.

მუხლი 39. მენეჯმენტის გეგმის პროგრამები

1. სიტუაციური ანალიზის დროს გამოიკვეთა შემდეგი 6 ძირითადი მიმართულება, რომელთა განვითარებაც უზრუნველყოფს მენეჯმენტის გეგმის მიზნების, აქტივობებისა და ღონისძიებათა პროგრამულ სტრუქტურას:

- ა) დაცვა, პატრულირება და კანონდარსრულება;
- ბ) ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია;
- გ) ეკოტურიზმი;
- დ) კვლევა და მონიტორინგი;
- ე) ეკო-განათლება და საზოგადოებასთან ურთიერთობა;
- ვ) ინფრასტრუქტურა და ადმინისტრაციის განვითარება.

2. მენეჯმენტის გეგმის მომდევნო მუხლები განსაზღვრავენ მენეჯმენტის გეგმის პროგრამის მიზნებს და ინდიკატორებს. თითოეული მიზნის მისაღწევად განისაზღვრა ღონისძიებებისა და საქმიანობების ჩამონათვალი, რომლებიც უნდა იქნეს გათვალისწინებული ყოველწლიური სამოქმედო გეგმის ფარგლებში. საჭიროებიდან გამომდინარე შესაძლებელია, შეიცვალოს ან შესწორდეს ქმედებები, რათა მიღწეული იქნეს პროგრამის მიზნები.

მუხლი 40. დაცვა, პატრულირება და კანონდარსრულება

1. ქობულეთის დაცული ტერიტორიების დაცვას, პატრულირებასა და კანონდარსრულებასთან დაკავშირებულ ძირითად პრობლემებს წარმოადგენს:

- ა) დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციის მიერ მომიჯნავე ტერიტორიებზე მიმდინარე და დაგეგმილი საქმიანობების შესაძლო ნეგატიური ზემოქმედება დაცულ ტერიტორიაზე ვერ კონტროლდება;
- ბ) პატრულირებისა და მონიტორინგისათვის საჭირო აღჭურვილობის სიმცირე (ცეცხლსასროლი იარაღი, ვიდეო რეგისტრატორი, ფოტო ხაფანგები და სხვა);

2. დაცვასა და პატრულირებასთან დაკავშირებული პროგრამის მიზნები, ქმედებები და ინდიკატორები შემდეგია:

მიზანი 1: დაცვის განყოფილების ადამიანური რესურსების გაძლიერება			
ღონისძიებები და ქმედებები	ინდიკატორები	პარტნიორების ჩართულობა	წინაპირობა
1.1. უკანონო ქმედებების გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით არსებული პატრულირების სისტემის გადახედვა/დახვეწა და საჭიროების შემთხვევაში კორექტირება	1.1. სამართალდარღვევის აღკვეთის მიზნით გამოვლენილი და გატარებული აღმკვეთი ღონისძიებების შესახებ დაცული ტერიტორიების სააგენტოში წარდგენილი ინფორმაცია	კოლხეთის დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდი	მიმდინარე დაფინანსება, სახელმწიფო ბიუჯეტი
მიზანი 2: აუცილებელი აღჭურვილობისა და აპარატურის შესყიდვა, პერიოდული განახლება და ტექნიკური მომსახურება			

ლონისძიებები და ქმედებები	ინდიკატორები	პარტნიორების ჩართულობა	წინაპირობა
2.1. დაცვისა და პატრულირებისათვის აუცილებელი აღჭურვილობის შექმნა/განახლება	2.1. დაცვისა და პატრულირებისათვის შექმნილი აღჭურვილობა: - 2 ერთეული ღამის ხედვის მოწყობილობა; - 3 ერთეული წყალგაუმტარი სპეც. ტანსაცმელი; - 3 ერთეული ცეცხლგამძლე სპეც. ფორმა და ცეცხლმაქრი (წყლის ზურგჩანთა); - 1 ერთეული ნავი; რეინჯერებისათვის შექმნილია: ცეცხლსასროლი იარაღი (2 ერთეული), უნიფორმა (5 ერთეული), ვიდეო რეგისტრატორი (2 ერთეული) და სხვა აუცილებელი აპარატურა	კოლხეთის დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდი	რაოდენობები დაზუსტდება არსებული საჭიროებების მიხედვით
მიზანი 3: სასაზღვრო ნიშნულების განთავსება			
ლონისძიებები და ქმედებები	ინდიკატორები	სხვა პარტნიორების ჩართულობა	წინაპირობა
3.1. საზღვრის ნიშნულების დამონტაჟება	3.1. დამონტაჟებული რკინა-ბეტონის კონსტრუქციის საზღვრის აღმნიშვნელი საინფორმაციო ნიშნული (3 ცალი)	კოლხეთის დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდი	რაოდენობები დაზუსტდება არსებული საჭიროებების მიხედვით
მიზანი 4: დაცულ ტერიტორიების მომიჯნავე ტერიტორიებიდან მომდინარე ნეგატიური ზემოქმედების განსაზღვრა და შერბილების ღონისძიებები			
ლონისძიებები და ქმედებები	ინდიკატორები	სხვა პარტნიორების ჩართულობა	წინაპირობა
4.1. დაცულ ტერიტორიებზე მიმდებარე ტერიტორიებიდან მომდინარე ნეგატიური ზემოქმედების განსაზღვრა	4.1. შეფასებული და განსაზღვრულია გარე საფრთხეები	ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია, დაცული ტერიტორიების სააგენტო და სხვადასხვა კვლევითი ინსტიტუტები	საწიროებს გარე ექსპერტის მონაწილეობას

მუხლი 41. ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია

1. ბიომრავალფეროვნების კონსერვაციასთან დაკავშირებით სიტუაციური ანალიზის დროს გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი პრობლემური საკითხები:

- ა) სახელმწიფო ნაკრძალის ჩრდილო-აღმოსავლეთით არსებული არხის გაწმენდის გამო ნაწილობრივ დაირღვა ჰიდროლოგიური რეჟიმი და თვით გუმბათი;
- ბ) პრობლემას წარმოადგენს ინვაზიური სახეობების (თუნბერგის მატიტელა, ამბროზია, ევკალიპტები, გაბატონება, არ შემუშავებულა ამ სახეობების წინააღმდეგ მენეჯმენტის გეგმა;
- გ) დაურეგულირებელი და უსისტემო მოვება, რაც იწვევს ბიომრავალფეროვნების კარგვას;
- დ) ქობულეთის აღკვეთილის ტერიტორიაზე დეგრადირებულ მეორად მდელოებზე ხშირია მტაცებლის მიერ შინაური საქონლის დაზიანების და დარღვეულ სადრენაჟე არხებში

დახრჩობის ფაქტები, რაც მოსახლეობის უკმაყოფილობას და კონფლიქტურ სიტუაციებს იწვევს. აუცილებელია დარეგულირების მექანიზმის შემუშავება;

ე) ხშირი მოვლენაა ხანძრები ისპანის ტორფნარებზე.

2. ბუნებრივი რესურსებისა და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის, მდგრადი გამოყენების მიზნები, ქმედებები და ინდიკატორები შემდეგში მდგომარეობს:

მიზანი 1: ნაკრძალის აღმოსავლეთით მდ. ოჩხამურთან დარღვეული ჰიდროლოგიური რეჟიმის აღდგენა			
ლონისძიებები და ქმედებები	ინდიკატორები	პარტნიორების ჩართულობა	წინაპირობა
1.1. ჰიდროლოგიური კვლევების წარმოება ნაკრძალის მომიჯნავე სადრენაჟე სისტემის სტრუქტურის შესაცვლელად (აღდგენისთვის აუცილებელი საბაზისო კვლევები);	1.1 დარღვეული ჰიდროლოგიის აღდგენისათვის ჩატარებული საბაზისო კვლევების ანგარიშები;	კოლხეთის დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მელიორაციის დეპარტამენტი, ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია, უცხოეთის გარემოსდაცვითი ფონდები და სამეცნირო - კვლევითი ინსტიტუტები, უცხოელი შესაბამისი კომპეტენტური ექსპერტები	საჭიროა პროექტის მომზადება დონორი ორგანიზაციების მოსაზიდად
1.2. „ისპანი 2“ ტორფნარის დარღვეული ჰიდროლოგიური რეჟიმის აღდგენის გეგმის შემუშავება	1.2 დარღვეული ჰიდროლოგიური რეჟიმის აღდგენის შესახებ შემუშავებული გეგმა		
მიზანი 2: ქობულეთის ალკვეთილში ძოვების დარეგულირება			
ლონისძიებები და ქმედებები	ინდიკატორები	პარტნიორების ჩართულობა	წინაპირობა
2.1. ქობულეთის ალკვეთილში ძოვების დარეგულირება	2.1. 10 % – ით დარეგულირებული ძოვება	კოლხეთის დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდი, ადგილობრივი მოსახლეობა, შესაბამისი კომპეტენტური ექსპერტი	საჭიროა შესაბამისი (გარე) ექსპერტის ჩართულობა
მიზანი 3. „ადამიანის კონფლიქტი მტაცებელთან“ დარეგულირება			
ლონისძიებები და ქმედებები	ინდიკატორები	პარტნიორების ჩართულობა	წინაპირობა
3.1. „ადამიანის და მტაცებელის კონფლიქტის“ დარეგულირების მექანიზმის შემუშავება	3.1. კონფლიქტის დარეგულირების მიზნით დაინტერესებულ მხარეებთან რეგულარული შეხვედრების ამსახველი ფოტოები, ოქმები და ანგარიშები;	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, შესაბამისი კომპეტენტური ექსპერტები, ადგილობრივი მოსახლეობა	საჭიროა შესაბამისი (გარე) ექსპერტის ჩართულობა
	3.2. 30 % -ით დარეგულირებული კონფლიქტები		
მიზანი 4: ტორფნარზე ხანძრების შემცირება			
ლონისძიებები და ქმედებები	ინდიკატორები	პარტნიორების ჩართულობა	წინაპირობა
4.1. შესაბამისი ტექნიკისა	4.1. ვარგისიანი	ბუფერული ზონის	სახელმწიფო

და აღჭურვილობის შემოწმება ვარგისიანობისა და მდგომარეობის შესახებ, მისი გამართულ მდგომარეობაში მოყვანა;	ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით უზრუნველყოფილი ადმინისტრაცია;	მოსახლეობა, შსს -ს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური	ბიუჯეტი
4.2. ხანძარსაშიშ პერიოდში ხანძრების რისკების მინიმუმამდე დაყვანა, გავრცელების კერების დროული აღმოჩენა და მყისიერი რეაგირება	4.2. ხანძრების ლიკვიდაციის აღმნიშვნელი ფოტოები; 4.3. ტორფნარებზე 20 %-ით შემცირებული ხანძრები		
მიზანი 5: ინვაზიური სახეობების შემცირება			
ლონისძიებები და ქმედებები	ინდიკატორები	პარტნიორების ჩართულობა	წინაპირობა
5.1. განსაკუთრებით აგრესიული ინვაზიური სახეობების წინააღმდეგ ბრძოლის მართვის გეგმის შემუშავება და განხორციელება	5.1. ინვაზიური სახეობების (თუნბერგის მატიტელას, ამბროზიას, ევალისას) შემცირების მიზნით შემუშავებული სამოქმედო გეგმა; 5.2. შემუშავებული გეგმის მიხედვით მიმდინარე ლონისძიებების ამსახველი ფოტოები და ანგარიშები; 5.3. 10 % – ით შემცირებული ინვაზიური სახეობები	კოლხეთის დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდი, მიმდებარე მოსახლეობა, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები	საჭიროა შესაბამისი (გარე) ექსპერტის ჩართულობა
მიზანი 6: ქობულეთის ადკვეთილში რელიქტური ტყის ბუნებრივად აღდგენა			
ლონისძიებები და ქმედებები	ინდიკატორები	პარტნიორების ჩართულობა	წინაპირობა
6.1. ქობულეთის ადკვეთილში რელიქტური ტყის ბუნებრივად აღდგენითი პროცესების ხელშეწყობა, შესაბამისი პროექტის შემუშავება და განხორციელება	6.1. ტყის ბუნებრივად აღდგენა შემუშავებული პროექტის მიხედვით ხორციელდება, რის შედეგადაც: ა) 10 % ფართობზე აღდგენილია ინვაზიური სახეობებით წარმოდგენილი მეორადი მდელო; ბ) ევკალიპტების ნარგაობები 5 % -ით ჩანაცვლებულია კოლხეთის ფლორის ელემენტებით	კოლხეთის დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდი, უცხოეთის დონორი ორგანიზაციები, ფონდები და სამეცნიერო კვლევითი ორგანიზაციები, ადგილობრივი მოსახლეობა, შესაბამისი კომპეტენტური ექსპერტი	საჭიროა შესაბამისი (გარე) ექსპერტის ჩართულობა

მუხლი 42. მენეჯმენტის პროგრამა: კვლევა და მონიტორინგი

1. სიტუაციური ანალიზისას კვლევამონიტორინგის საკითხებში გამოიკვეთა პრობლემები, რომელთა გადაჭრაც აუცილებელია:

- ა) მონიტორინგისთვის მნიშვნელოვანი საკვანძო ჰაბიტატების, ფლორისა და ფაუნის სახეობათა ნუსხა არასრულყოფილია;
- ბ) მონიტორინგის მეთოდოლოგიები დასახვეწია;
- გ) არ მიმდინარეობს ისპანი 2 ტორფნარის ჰიდროლოგიური რეჟიმის მონიტორინგის;
- დ) არ არსებობს ჰართვისის მუხის კონსერვაციის მენეჯმენტის გეგმა;
- ე) არ არსებობს დაცულ ტერიტორიებზე წლების განმავლობაში განხორციელებული სამეცნიერო კვლევების, ბიომრავალფეროვნების მონაცემების ელექტრონული მონაცემთა ბაზა;
- ვ) არ არსებობს ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ შეიცვალა ისპანი 2 ტორფნარზე გლობალური სტატუსის მქონე სფაგნუმის *Sphagnum austinii* -ის არეალი დაცული ტერიტორიების დაარსების მენეჯმენტის შემდეგ.
2. კვლევა – მონიტორინგის პროგრამის მიზნები, ქმედებები და ინდიკატორები შემდეგში მდგომარეობს:

მიზანი 1: სამეცნიერო კვლევების მონაცემთა ბაზის შექმნა			
ლონისძიებები და ქმედებები	ინდიკატორები	პარტნიორების ჩართულობა	წინაპირობა
1.1. დაცულ ტერიტორიებზე წლების განმავლობაში განხორციელებული პროექტების და ჩატარებული სამეცნიერო კვლევების მონაცემთა ბაზის შექმნა	1.1. შექმნილი სრულყოფილი მონაცემთა ბაზა დაცულ ტერიტორიებზე ჩატარებული სამეცნიერო კვლევების შესახებ	სამეცნიერო დაწესებულებები, არასამთავრობო ორგანიზაციები	
მიზანი 2: ეროვნულ და საერთაშორისო გარემოსდაცვით და სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაფართოება			
ლონისძიებები და ქმედებები	ინდიკატორები	პარტნიორების ჩართულობა	წინაპირობა
2.1. ჰაბიტატებისა და სახეობათა კონსერვაციის მიზნით თანამშრომლობა ეროვნულ და საერთაშორისო გარემოსდაცვით და სამეცნიერო ორგანიზაციებთან	2.1. „ისპანი 2“ პერკოლაციური ტორფნარის კონსერვაციის მიზნით მიმდინარე სამეცნიერო პროექტები; 2.2. ყოველწლიურად, 10 % – ით გაზრდილი გლობალური წითელი ნუსხის (IUCN Red List) (მუხლი ბიომრავალფეროვნება) სახეობების პოპულაციური რიცხოვნება; 2.3. თანამშრომლობა ტორფნარების კონსერვაციის საერთაშორისო ჯგუფთან და მიმდინარე ერთობლივი სამეცნიერო პროექტები;	კოლხეთის დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდი, ეროვნული და უცხოეთის სამეცნიერო-კვლევითი და გარემოსდაცვითი ორგანიზაციები (IUCN, UNESCO, ICMG, WWF და სხვა), რუსთაველის სამეცნიერო ფონდი	საჭიროა დაფინსების მოძიება
მიზანი 3. „ისპანი 2“ ტორფნარის პერკოლაციური ჰიდროლოგიური რეჟიმის მონიტორინგი			
ლონისძიებები და ქმედებები	ინდიკატორები	პარტნიორების ჩართულობა	წინაპირობა

<p>3.1. „ისპანი 2“ პერკოლაციური ტორფნარის ჰიდროლოგიური რეჟიმის მონიტორინგის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს შექმნა;</p> <p>3.2. ისპანის ტორფნარის პერკოლაციური ჰიდროლოგიური რეჟიმის მონიტორინგისათვის შესაბამისი აღჭურვილობის შექმნა;</p> <p>3.3. ჰიდროლოგიური რეჟიმის მონიტორინგი</p>	<p>3.1. ჰიდროლოგიური რეჟიმის მონიტორინგის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო;</p> <p>3.2. ადმინისტრაცია აღჭურვილია მონიტორინგისათვის აუცილებელი ხელსაწყოებით: pH – მზომი (1 ცალი), ტორფნარში წყლის დინების საზომი ხელსაწყო Logger (1 ცალი), წყლის თერმომეტრი (3 ცალი);</p> <p>3.3. ისპანის ტორფნარის პერკოლაციური ჰიდროლოგიური რეჟიმის ყოველწლიური მონიტორინგის ამსახველი ანგარიშები</p>	<p>კოლხეთის დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდი, სხვა სამეცნიერო ორგანიზაციები, უცხოელი კომპეტენტური ექსპერტ/ჰიდროლოგი</p>	<p>საჭიროებს დაფინანსების მოძიებას</p>
<p>მიზანი 4: უხერხემლო ცხოველების მონაცემთა ბაზის შექმნა</p>			
<p>ღონისძიებები და ქმედებები</p>	<p>ინდიკატორები</p>	<p>სხვა პარტნიორების ჩართულობა</p>	<p>წინაპირობა</p>
<p>4.1. უხერხემლო ცხოველების მონაცემთა ბაზის შექმნა;</p> <p>4.2. საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების გამოვლენა, გავრცელების რუკის შექმნა</p>	<p>4.1. მონაცემთა ბაზა და რუკა უხერხემლო ცხოველების, საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების და მათი გავრცელების შესახებ</p>	<p>კოლხეთის დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდი, სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი, კომპეტენტური ექსპერტი</p>	<p>საჭიროა დონორის მოძიება</p>
<p>მიზანი 5: კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ფიტო- და ენტომოდაავადებების შესწავლა და ბრძოლის ღონისძიებების განხორციელება</p>			
<p>ღონისძიებები და ქმედებები</p>	<p>ინდიკატორები</p>	<p>სხვა პარტნიორების ჩართულობა</p>	<p>წინაპირობა</p>
<p>5.1. მუდმივი ფიტოპათოლოგიური და ენტომოლოგიური კვლევა-მონიტორინგი</p>	<p>5.1. მონაცემთა ბაზა და რუკა პარკში მავნე ორგანიზმების გავრცელების შესახებ;</p> <p>5.2. მავნებლებთან წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ამსახველი ფოტოები და წლიური ფიტოპათოლოგიური გამოკვლევების ანგარიშები</p>	<p>კოლხეთის დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდი, სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, შესაბამისი კომპეტენტური ექსპერტი</p>	<p>მიმდინარე დაფინანსება, სახელმწიფო ბიუჯეტი</p>
<p>მიზანი 6: გლობალური სტატუსის მქონე სფაგნუმის <i>Sphagnum austinii</i>-ის მონიტორინგი</p>			
<p>ღონისძიებები და ქმედებები</p>	<p>ინდიკატორი</p>	<p>სხვა პარტნიორების ჩართულობა</p>	<p>წინაპირობა</p>
<p>6.1 „ისპანი 2“ ტორფნარის მცენარეულობის რუკის შექმნა (20-წლიანი შედარებითი</p>	<p>6.1. „ისპანი 2“ ტორფნარის მცენარეულობის რუკა და გლობალური სტატუსის მქონე</p>	<p>კოლხეთის დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდი,</p>	<p>საჭიროა დონორებთან თანამშრომლობა</p>

ანალიზი); 6.2. <i>Sphagnum austinii</i> ის მონიტორინგისათვის სახელმძღვანელო მეთოდოლოგიის შემუშავება; 6.3. მონიტორინგი	სფაგნუმის - <i>Sphagnum austinii</i> – ს 20 წლიანი სუქცესიის შესახებ სრულყოფილი მონაცემები; 6.2. <i>Sphagnum austinii</i> – ს მონიტორინგის მეთოდოლოგიური სახელმძღვანელო; 6.3. ყოველწლიური მონიტორინგის ამსახველი ფოტოები და ანგარიშები	სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები, შესაბამისი კომპეტენტური ექსპერტი	ბა და დაფინანსების მოძიება
მიზანი 7: გადამფრენი, მოზუდარი და წყალმცურავი ფრინველების მონიტორინგი			
ღონისძიებები და ქმედებები	ინდიკატორები	სხვა პარტნიორების ჩართულობა	წინაპირობა
7.1. ფრინველების მონიტორინგის აღრიცხვის მეთოდოლოგიის შემუშავება; 7.2. გადამფრენი, მოზუდარი და წყალმცურავი ფრინველების მონიტორინგი	7.1. ფრინველების მონიტორინგის აღრიცხვის მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო; 7.2. ფრინველების მონიტორინგის ამსახველი ფოტოები და ანგარიშები	კოლხეთის დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდი, არასამთავრობო ორგანიზაციები და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები	მიმდინარე დაფინანსება, სახელმწიფო ბიუჯეტი
მიზანი 8: ნემსიყლაპიების კვლევა			
ღონისძიებები და ქმედებები	ინდიკატორები	სხვა პარტნიორების ჩართულობა	წინაპირობა
8.1 ქობულეთის დაცული ტერიტორიების ნემსიყლაპიების შესწავლა	8.1. დაბეჭდილი და გავრცელებული ბროშურა: „ქობულეთის სფაგნუმანი ტორფნარები და ნემსიყლაპიები“	კოლხეთის დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდი, არასამთავრობო ორგანიზაციები და სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციები	საჭიროა დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა და დაფინანსების მოძიება

მუხლი 43 . ეკოტურიზმის პროგრამა

1. ეკოტურიზმთან დაკავშირებით სიტუაციური ანალიზისას გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი პრობლემები:

ა) არსებული ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა ამორტიზებულია და განახლებას საჭიროებს, არასაკმარისია ვიზიტორთა მომსახურებისთვის;

ბ) ბილიკები საჭიროებს განახლებას და შესაბამისი ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობას;

გ) ადმინისტრაციაში ეკოტურისტული სერვისებიდან მიღებული შემოსავლები მცირეა, საჭიროა დამატებითი სერვისების დანერგვა და ეკოტურისტული ინვენტარის განახლება;

დ) ვიზიტორებისათვის საინფორმაციო მასალა საჭიროებს განახლებას;

ე) დაცული ტერიტორიების ეკოტურისტული შეთავაზებები საჭიროებს დივერსიფიკაციას.

2. ეკოტურიზმის პროგრამის მიზნები, ქმედებები და ინდიკატორები შემდეგია:

მიზანი 1. ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა

ლონისძიებები და ქმედებები	ინდიკატორები	პარტნიორების ჩართულობა	წინაპირობა
